პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 294 (19735) ოთხშაბათი, 24 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეჯელ მეცხოველეთა მიჯნები

ათას ხუთას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს უვლიან გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის — საგარეჯოს რაიონის ერთ-ერთი უდიდესი მეურნეობის — ფერმებში. აქ შექმნილი მტკიცე საკვები ბაზა პროდუქციის გამოშვების ზრდის შესაძლებლობას იძლევა. გარეჯელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება. გეგმით გათვალისწინებული 725 ტონის ნაცვლად უკვე ჩაბარებულია 800 ტონაზე მეტი რძე.

სურათებზე: „საკვებმომპოვებელთა ბრიგადირი ბადრი ივანიშვილი და მეცხოველე ალექსანდრე მათიაშვილი; ფერმებში საკვების მორიგ პარტიას გზავნიან.

ი. დავითაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

იჯარა — საჭირო და სავალდებულო

ბეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დამთავრებამდე დღეებიღა დარჩა. ტრადიციისამებრ ახლა ყოველი შრომითი კოლექტივი გაწეული მუშაობის, გეგმების შესრულების ანალიზისათვის ემზადება. თუმცა ბევრგან ისედაც უკვე ყველაფერი ნათელია — დაძაბული გეგმა-ვალდებულებები წარმატებით არის რეალიზებული, და ეს ინტენსიფიკაციის რეზერვების მარჯვედ გამოყენების, კოლექტიურ იჯარასა და სამეურნეო ანგარიშზე დაყრდნობის წყალობით გახდა შესაძლებელი.

ამ ეკონომიკური ბერკეტების როლი ფასდაუდებელი გახდება ხუთწლედის მეორე წელს, რომელიც თვისებრივად ახალი ეტაპი იქნება მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფაში, ფართო სარბიელი მიეცემა შრომითი კოლექტივების ინიციატივასა და შემოქმედებას, მათი დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას, გამრჯე ადამიანის გააქტიურებას; ზემოდან მართვის გაუმჯობესების ღონისძიებანი ორგანულად შეუხამდება ქვემოდან შრომის ორგანიზაციის და სტიმულირების კოლექტიური ფორმების გავრცელებას. ამ პირობებში კოლექტიურმა იჯარამ და სამეურნეო ანგარიშმა მუშაკთა დიდი პირადი დაინტერესებით ძლიერი ზემოქმედება უნდა მოახდინონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, რის საფუძველზეც გარანტირებული იქნება დიდი და სტაბილური წარმატება.

ამიტომაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება — შრომის ორგანიზაციის რაციონალური ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ — მოითხოვს, რომ კოლექტიური იჯარა და სამეურნეო ანგარიში ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის სავალდებულო და საჭირო საქმედ მივიჩნიოთ.

ნამდვილი სამეურნეო ანგარიში, საბოლოო შედეგებზე საწარმოთა შემოსავლის დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის გაძლიერება, რომელთა უგულებელყოფამ წარსულში რეპუბლიკის ბევრ მეურნეობაში გააუარესა საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობა და გამოიწვია დავალიანებე, ამჟამად ნორმა ხდება ქობულეთის, ლანჩხუთის, დმანისის და სხვა რაიონების აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლისათვის. სულ უფრო მეტად ვრცელდება იჯარა და აკორდული სისტემა ბრიგადის, რგოლის, ოჯახის დონეზე. რეპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 15134 საწარმოო ქვეგანაყოფიდან კოლექტიური იჯარის მეთოდზე გადასულია 6819 ბრიგადა და რგოლი, სამეურნეო ანგარიშზე კი 900-ზე მეტი მეურნეობა. ბევრი მათგანის საქმიანობა სწვავისათვის სამაგალითოა. გურჯაანის რაიონის შრომის მევეხანეობის საბჭოთა მეურნეობაში №10 ბრიგადამ, რომელიც მეორე წელია იჯარას იყენებს, საუკეთესო საბოლოო შედეგებს მიაღწია. ამ შრომითს კოლექტივში 30 მუშაა, მათგან სამი — მექანიზატორი. აქ სრულიად დამოუკიდებლად წყვეტენ საწარმოო და ოპერატიულ საკითხებს. უარი თქვეს ცალკეული წევრების მიერ შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვაზე და შრომის ანაზღაურების საფუძველად აირჩიეს დროებრივი ავანსირება. პროფესიათა შეთავსების, ეკონომიკური პასუხისმგებლობის გაძლიერების, დისციპლინის განმტკიცებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად მეურნეობის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით ყურძნის ორჯერ მეტი მოსავალი მიიღეს, ბრიგადაში შრომის ნაყოფიერებამ, ანაზღაურებამ და რენტაბელობამ მეურნეობის ანალოგიურ მაჩვენებლებს შესაბამისად 4,5-ჯერ, 3-ჯერ და 2-ჯერ გადაამეტა, მოლიანი პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული ხარჯები კი 2-ჯერ შემცირდა.

ამგვარი ყაირათიანი მუშაობის მისამართები ცოტა როდია რეპუბლიკაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იჯარული კოლექტივებში ჯერ კიდევ სუსტია სამეურნეოანგარიშიანი საფუძველი. ზოგან კარგად ანგარიშობენ გამომუშავებისა და პრემიების ოდენობას, ხოლო რამდენი ისარჯება მასალები, სასრესები, საწვავი, ელექტროენერგია — ყველაფერი ამას თვალით ზომავენ. ამიტომაც მანეთით უფაირათოთა დასჯა ყოველთვის შესაძლებელი არ არის და ნაკლებია მატერიალური დანახარჯების შემცირებისათვის მუშაკთა პირადი დაინტერესება.

კოლექტიური იჯარა, როგორც პრაქტიკა გვარწმუნებს, ის დიდი ორგანიზაციული რეზერვია, რომელსაც შეუძლია მოგვცეს ეკონომიკის განვითარების მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორების მთელი ძალით ამოქმედებამდე.

იჯარა მიწათმოქმედსა და მეცხოველეს შრომას უნაზღაურებს რეალური შედეგის მისედგით: რაც უფრო მნიშვნელოვანია იგი, გასამრჯელოც მით უფრო მეტია, და პირიქით, მაგრამ იჯარის მთელი ეკონომიკური არსია სამეურნეო ანგარიში, თვითანაზღაურება, საწარმოო შედეგი დანახარჯებს უნდა შეუფარდდეს. საბოლოოდ კი ანაზღაურება განისაზღვრება არა მარტო წარმოებული პროდუქციის რაოდენობითა და ხარისხით, არამედ მისი თვითღირებულებითაც. ამდენად, იჯარული კოლექტივის გამომუშავებას, მოგებას სწორედ მთლიან შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა წარმოადგენს.

ამგვარი მეურნეობრიობა მუშაკს აიძულებს იფიქროს და იანგარიშოს, თუ მეურნეობას, პირადად მას რა უჯდება ერთი ტონა ჭირნახლული. მიუხედავად ამისა, რომ ამ პროგრესულ სისტემას მთელ ქვეყანაში ფართო ასპარეზი მიეცა ჯერ კიდევ 1983 წელს, რესპუბლიკის ბევრ მეურნეობაში მას ჯეროვნად არ აფასებენ. მის ათვისება-დანერგვას ფორმალურად, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. ეს ითქმის ახმატის, ლენინგორის, ხობის, ლაგოდეხის და სხვა რაიონების მეურნეობებზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე ითქვა, რომ ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ხელმძღვანელი თავად უმლის ხელს კოლექტიური იჯარის გაფართოებას, ზოგჯერ საბოტაჟს უწევს გარდაქმნას. ზოგან კი ისიც ხდება, რომ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები კი ჯარა, თვით უმაღლესი სახსნელებლების დიპლომიანი სპეციალისტები და ხელმძღვანელებიც კი ვერ ერკვევიან იჯარის, სამეურნეო ანგარიშის პრინციპებში. ამის გამოა, რომ ამ მეთოდების დანერგვის დროს ბევრი გაუგებრობა ხდება, ღრმად არ მუშაობენ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე; საიჯარო რგოლებსა და ბრიგადებს ზოგჯერ არა აქვთ რესურსებით გარანტირებული უზრუნველყოფა, მათთან მუშაობაში ვხვდებით ადმინისტრირებას, ილახება შრომითი კოლექტივების უფლებები, იჯარაში კოლექტივის ყველა წევრი არ არის ჩაბმული. შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმების ეფექტი კი გაცილებით მეტია მაშინ, როცა მოიცავენ არა მარტო მუშებს, არამედ სპეციალისტებსა და ხელმძღვანელებსაც.

მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების ათვისებასთან დაკავშირებული საქმისადმი ზერელე მიდგომას მათი გაუფასურება, საწარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების დაქვეითება მოსდევს. ასე დამარცათ, მაგალითად, ზესტაფონის რაიონის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში, სადაც იჯარაზე გადასვლის შემდეგ ძროხების წველადობა 2307 კილოგრამდან 1700 კილოგრამამდე შემცირდა, მთლიანი პროდუქციაც 11,6 ათასი მანეთით ნაკლები აწარმოეს, ხოლო ყოველი 100 მანეთის მთლიან პროდუქციაზე დანახარჯებმა 30 მანეთით მოიმატა. იჯარა ამ შემთხვევაში თვითმიზანი აღმოჩნდა. სინამდვილეში კი ის ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის ათვისების, ადამიანების მკაცრი, საქმიანი ურთიერთობის ფორმირების ათვლის წერტილია, რომელიც ესოდენ საჭიროა ჭეშმარიტი გარდაქმნისათვის.

უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა ის, რომ მეურნეობრიობის პროგრესულ ეკონომიკურ მეთოდებს რაც შეიძლება სწრაფად დაეუფლონ აგროსამრეწველო წარმოების ყველა რგოლის მუშაკები. ეს მით უფრო საჭიროა, რომ კოლექტიური იჯარის საზღვრების გაფართოების კვალობაზე, ბუნებრივია, მასში არსებითი ცვლილებები შეაქვთ.

ეს საქმე, კერძოდ, ის, რომ კადრებმა მასობრივად შეისწავლონ კონკრეტული ეკონომიკა და წარმოების ეფექტიანი ორგანიზაცია, მოწინავე ტექნოლოგიები, რომ თითოეულმა მუშაკმა ზედმიწევნით იცოდეს დაკისრებული საქმე და იმუშაოს ნაყოფიერად, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის პირობები საფუძვლად უნდა დაედოს სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ნიადაგი გამოეცალოს ფორმალიზმს. ნაკისრი ვალდებულებების რეალიზაციისათვის გაწეულები შრომით მეტოქეობა უფრო სრულად შეეხებიდეს კონკრეტულ ამოცანებს, რომლებსაც აგროშრეწვი წყვეტს.

იანვარში დანაპირებს დეკემბერი

მოგვკითხავს

● შრომითს გამარჯვებას გილოცავთ, „საქბამშენო!“

● იცავენ მომჭირნეობის რეჟიმს

გვატყობინებენ „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქბამმშენის“ კოლექტივმა, რომელიც ჩიტის ოლქის ჩარის რაიონში ტაიგის დაბა იკაბაის აშენებს, სამშობლოს უბატაკა მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულება. 19 დეკემბრისათვის საიჯარო სამუშაოთა მოცულობა გეგმით გათვალისწინებულ 2 მილიონ 400 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 80 ათასი მანეთის დაგეგმარებით. დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერენ სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქბამმშენის“ უფროსი ღუდუშაური და შემკვეთის წარმომადგენელი ბუდინსკი, ნათქვამია, რომ მთელი შესრულებული სამუშაოები „კარგზეა“ შეფასებული.

ეს უწინარესად საცხოვრებელი სახლები, სოციალურ-კულტურული და სამეურნეო დანიშნულების სხვა ობიექტებია. საგულისხმოა, რომ ქართველმა ბამელებმა დაძლიეს ჩამორჩენა, რომელმაც სხვადასხვა მიზეზის გამო თავი იჩინა წლის პირველ ნახევარში დაბის შშენებლობაზე. წარმატება განსაზღვრა კოლექტივის დამკვრელურმა, თავდადებულმა შრომამ, მისმა შეკავშირებამ წამოჭრილ პრობლემათა გადაჭრაში. დაჩქარების რეზერვი გახდა ბრიგადების გადაყვანა სამეურნეო ანგარიშზე, ასამუშავებელ ობიექტებზე მუშაობის ორცალიან რეჟიმზე გადასვლა, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების სხვა პროგრესული ფორმების დანერგვა, მასალებისა და მოკიმვლელებელი ნაწარმის მიწოდებისადმი კონტროლის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის გაზრდა.

სპეციალიზებული სამშენებლო სამონტაჟო მატარებლის „საქბამმშენის“ კოლექტივის შრომითი გამარჯვება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს წარმომადგენელთა იმ მთავარი ვალდებულების შესრულების გზაზე, რომ დაბა იკაბაის მშენებლობა დაამთავრონ 1988 წელს — ვადაზე ორი წლით ადრე.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს კოლექტივმა ენერგიულად დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი, და შედეგმაც არ დაყოვნა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება აქ ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებში შესრულდა. წარმატებებია მოპოვებული სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც.

მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრი დაცვით წლის განვლილ პერიოდში დაიზოგა 4000 ტონა მანგანუმის შემცველი კონცენტრატი, 855 ტონა კოქსი, 1200 ტონა რკინის მადანი, დიდძალი ელექტროენერგია. განზორციელდა მრავალი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება შრომის ნაყოფიერების ზრდის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების მიზნით.

საამქროს კოლექტივი წლის დამლევამდე ასობით ტონა ფეროშენადნობს მიაწვდის მომხმარებელს, რითაც მნიშვნელოვნად გადაალახავს მომდინარე წლისათვის ნაკისრ ვალდებულებას.

აგრომრეწვის „ცხელი წერტილები“

ჩვენს ქვეყანაში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების რთული პრობლემებისადმი მიძღვნილი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პიესის ავტორი გახდა ესტონეთის კომპარტიის პიარნუს რაიკომის პირველი მდივანი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. უდამი.

ერთ დროს იგი მეთაურობდა ვილიანდის რაიონის პარტიულ ორგანიზაციას. სწორედ აქ დაიწყო სოფლის მეურნეობის სრულყოფის ექსპერიმენტი აბაშის ექსპერიმენტის მსგავსად. სწორედ ამიტომაც ასე აქტუალურია უდამის პიესა „პასუხისმგებლობა“, რომელიც ახლა შეიტანეს ესტონეთის თეატრების რეპერტუარში. პიესა ეხება სიახლის ნარეკლიან გზას, იმას, თუ რა ძნელად ინერგებოდა იგი პრაქტიკაში.

დღეს აგრომრეწვმა მთელი ქვეყნის მასშტაბით შეიძინა დამოუკიდებლობა. ამავე დროს წამოიჭრა მთელი რიგი პრობლემები, რომელთა წარმატებულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ახალი ორგანოს შემდგომი დინამიკური განვითარება.

ამ პრობლემების უსწრაფესი გადაჭრის გზების ძიებამ „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზატორებს უკარნახა მომავალი შეხვედრის მისამართი. საქართველო იდგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის სრულყოფის სათავეებთან. ამ თვალსაზრისით აქ შეძენილმა გვარიანმა გამოცდილებამ განაზღვრა მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა და ეკონომისტთა, მეცნიერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, პარტიულ, სამეურნეო ხელმძღვანელთა გულახდილი დიალოგის მომართულება, რომელიც თბილისში გაიმართა.

შეხვედრა გახსნა ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ პუბლიკაციის განყოფილების გამგემ, მწერალმა ი. კალეშჩუკმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს უკვე მეოთხე ამგვარი სხდომაა. მისი თემატიკა ნაკარნახევია სასურსათო პროგრამის საარსებო ინტერესებით.

გარდაქმნის პირველი ნაბიჯები

— **ეედარებით** ცოტა დრო გავიდა აგრომრეწვის შექმნის მომენტიდან, — თქვა მწერალმა, ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ სპეციალისტმა კორესპონდენტმა ე. ბუდინასმა, მაგრამ უკვე გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, მართვის კიდევ ერთი ბიუროკრატიული ორგანო შეიქმნაო. სამართლიანია თუ არა ეს?

— რა თქმა უნდა, არა, — თქვა საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. კონცელიძემ. — და ისიც, რატომ. ჩვენ შეგვექმნა შესაძლებლობა თავისუფლად მოვახდინოთ ტექნიკის, ფინანსების, სხვა რესურსების მანევრი, გამოვიყენოთ ისინი მთავარი მიმართულებებით და, ბოლოს, ოპერატიულად მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელთა განხორციელებას წინათ აუცილებლად დასჭირდებოდა სადირექტივო ორგანოების ჩარევა. აი კონკრეტული მაგალითებიც. რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სისტემის 2145 საწარმოდან და ორგანიზაციიდან სამეურნეო წელიწადს რენტაბელურად ამთავრებს 2049, ანუ 95 პროცენტი, საერთო მოგება კი 574 მილიონ მანეთს შეადგენს.

— მაგრამ მაინც, — განაგრძო ე. ბუდინასმა, — ჩამოყალიბება, პირველი ნაბიჯები, როგორც წესი, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს, თქვენ წარმოიდგინეთ, არის გადახრებიც, როგორც, მაგალითად, ლიტვაში, სადაც იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ კანცელარიული ჯანჯლობა, აკრძალეს მიმოწერა აგრომრეწვის მთავარ სამმართველოს შორის. თუმცა, ამასთან გაიხარდა ტელეფონოგრამების ნაკადი...

— ეგივე აზრი განავითარა მწერალმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო სოციალისტური სისტემის ეკონომიკის ინსტიტუტის სექტორის გამგემ გ. ლისიჩკინმა.

— დაბრკოლება სწორედ აქ არის, — ჩაება საუბარში ჟურნალ „ნოვი მირის“ პუბლიკაციის განყოფილების გამგე, მწერალი ა. სტრელიანი. — დღეს ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს მეურნეობრიობის გამართული მექანიზმი, ისეთი, მაგალითად, როგორიც აბაშაში, ვილიანდში, სხვა ადგილებში იყო. იმ აგრომრეწვებს მეურნეობები თვითონ მიადგნენ, ისე, რომ მათთვის არავის არ მოუხვევია თავს ეს იდეა. უფრო მაღალ დონეზე კი შექმნილი მართვის ორგანო ჯერჯერობით ცოტათი თუ შეესაბამება მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

მრავალი ნაკლი ჩნდება აგროსამრეწველო კომბინატების ქვეგანაყოფების შეუფერებელი მუშაობის გამო, თქვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მ. ბროშტეინმა. ყოველდღიურ საქმიანობაში არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის პრობლემები. არადა, ცნობილია, რომ მინდვრებიდან მისი ტრანსპორტირებისა და საცავებში დაბინავებისას ვკარგავთ, ვთქვათ, დიდძალ კარტოფილს. და კიდევ: ჩვენი სამეურნეო მექანიზმი ორიენტირებულია იმაზე, რომ საგეგმო მაჩვენებლები, რადაც უნდა დაუჯდეთ, უნდა შესრულონ. სტრატეგიაზე კი არავინ არ მუშაობს.

გარჯას გასამრჯელო უხდება

„მრგვალი მაგიდის“ მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი იყო, რომ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს აკლიათ დამოუკიდებლობა და ინიციატივა. ძალზე ხშირად ისინი ჯერ კიდევ კარნახით ახორციელებენ თავიანთ პოლიტიკას, ამიტომაც მოკლებული არიან შემოქმედებითს საწყისს, ბოლოდგე ვერ ავლენენ თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობებს. მათი ასეთი ქმედება გავლენას არ ახდენდეს ქალქის ვითარებაზე. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა გამოავლინონ მეტი პრინციპულობა ისეთ საკითხში, როგორიც არის, ვთქვათ, რენტაბელურთა ხარჯზე ეკონომიკურად სუსტი მეურნეობებისადმი მხარდაჭერის მიზანშეწონილობა. წალენჯიხისა და გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ვ. ჭანტურიასა და მ. გასანოვს, პოლტავის ოლქის მირგოროდის რაიონის ივანენკოს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ბაკას მიაჩნიათ, რომ ამგვარი პრაქტიკა იწვევს სხვისი მოიმედეობის განწყობილებას. არადა, ხომ პირიქით უნდა ხდებოდეს: დაეხმარე ღონიერ მეურნეობას, აღიარე სუსტის გაკოტრება, თავად გადაწყვიტე მისი შემდგომი ბედი. ამ საკითხში მეურნეთა და ლიტერატურთა შეხედულებანი ერთმანეთს დაემთხვა. ამავე აზრისაა ცნობილი მწერალი ჭ. ამირეჯიბი.

პოზიციების ერთიანობამ შეხვედრის მონაწილეები ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხშიც გააერთიანა, როგორიც არის შრომის ანაზღაურება.

— ჩვენს წარმატებებს, — უზიარებს დამსწრეთ. თავის გამოდგომას ბრესტის ოლქის კამენეცის რაიონის კოლმეურნეობა „სოვეტსკაია ბელორუსიას“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ბედულია, — უნდა ვუმადლოდეთ მატერიალურ სამოტივაციო ფონდს. ეს ფონდი ჩვენ ბევრ ადგილას ვქმნიდით. ეს ფონდი ბევრ ადგილას ვქმნიდით. ეს ფონდი ბევრ ადგილას ვქმნიდით. ეს ფონდი

აგრომრეწვის „ცხელი წერტილები“

(დასასრული)

— არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ როცა ყველაფერი კონცენტრირებულია ერთ ხელში — ერთი პატრონი არეგულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საკითხებსაც, მათ გადამუშავებასაც, — მოგება, როგორც მინიმუმი, ორმაგია. ჯერ ერთი, უფრო ადვილია მუშაობა, არ არის საუწყებათაშორისო დაბრკოლებანი, რაც გამორიცხავს დუბლირებას. მეორე, საკუთარ დანაშაულს სხვას ვეღარ გადააბრალებ. კრიტერიუმი აქ ერთია — ერთობლივი საბოლოო შედეგი.

ახლა დაიწყო ინტეგრაციის გაღრმავების პროცესი. ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და ფაბრიკების ბაზაზე შექმნილია პირველი ხუთი სპეციალიზებული აგროსამრეწველო კომბინატი. ანალოგიური ფორმირებანი შეიქმნება სხვა დარგებშიც.

წარმოებს ტექნიკის, რესურსების გადაჯგუფება, ხელახლა არის გააზრებული კაპიტალდაბანდებათა პოლიტიკა და მიმართულება. ერთი სიტყვით, აქ დადებითი პროცესი სავსებით თვალსაჩინო და უდავოა.

ინტეგრაციის უპირატესობანი დასტურდება სამეურნეო საქმიანობის შედეგებითაც. მიმდინარე წლის უაღრესად არახელსაყრელი ამინდის პირობების მიუხედავად, საქართველოს სახაგრომრეწვის მთლიანი პროდუქცია, წინასწარი მონაცემებით, 1985 წლის დონესთან შედარებით 105 პროცენტს შეადგენს, ხოლო რეალიზაცია — 109 პროცენტს.

სოფლის მეურნეობა წარმატებით ასრულებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, მარცვლეულის, ხილ-ბოსტნეულის, კარტოფილის, ხორცისა და რძის, მატყლის, კვერცხისა და მთელი სხვა პროდუქციის, ყურძნის გარდა, მიყიდვის სახელმწიფო შეკვეთებს, ხოლო მრეწველობა — მომხმარებლისათვის გადამუშავებული პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარეს გ. მგელაძეს ვთხოვეთ განემარტა შეხვედრის შედეგები.

— გვინდა აღვნიშნოთ, — თქვა მან, — რომ ყურნალ „დრუჟბა ნაროდოვის“ მიერ მოწყობილ შეხვედრა მეტად საჭირო და ასარგებლო გამოდგა. შეხვედრაზე აგროსამრეწველო კომპლექსის საჭირბოროტო პრობლემებს, შეკრებილთ განსახილველად გამოტანეს მისი, ასე ვთქვათ, მტკივნეული წერტილები. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ აგრომრეწვის სამეურნეო მექანიზმმ მოქმედებდეს ისე, როგორც მისგან ელიან ანა მარტო ერთი მეურნეობის, რაიონისა თუ ოლქის ფარგლებში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბითაც. ეს დაუსახა მიზნად აგრომრეწვის მუშაკებს XXVII სკპ კონგრესმ.

„მრგვალი მაგიდის“ მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. პოლანავა.

„მრგვალი მაგიდის“ სხდომის ანგარიში მოამზადეს საქინფორმის კორესპონდენტებმა რ. აბაკაძელომაძემ და ბ. პონასენმა.

გარდაქმნის ფაფნაგი და შედეგი

ზუსტად წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „ათეისტური აღზრდის გაძლიერების თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით აჭარის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ“, არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ამ მხრივ გაწეული მუშაობა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მიიღო სათანადო დადგენილება.

რა გაკეთდა დროის ამ მონაკვეთში აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად მუშაობის გაუმჯობესება-გარდაქმნისათვის და როგორია მისი ეფექტიანობა?

დადგენილების შესასრულებლად პარტიის აჭარის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა შეიმუშავეს კომპლექსური გეგმები, განახორციელეს მრავალი ღონისძიება, გააძლიერეს ათეისტური აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, იღვწიან ძირეულ რგოლებში პასუხისმგებლობის ამაღლების, რელიგიური რწმენისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობის გააქტიურებისთვის. სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ახალი სოციალისტური ყოფითი წეს-ჩვეულებები, სახალხო დღესასწაულები „დედის დღე“, „ტბელობა“, „შუამთობა“, „კოლხობა“, „სიმღერისა და შრომის დღესასწაულები“, „ბათუმი — ქმობისა და მეგობრობის ქალაქი“ და სხვა, იხვეწება სამოქალაქო რიტუალების მომზადება-მოწყობის პრაქტიკა...

დიახ, გაკეთებით მართლაც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ნებისმიერი საქმიანობის ეფექტიანობა ბოლოს შედეგებით განისაზღვრება. ამდენად ამაზე არც შევაჩერებთ განსაკუთრებულ ყურადღებას. მით უფრო, რომ საფიქრალსაზრუნავი და გასაკეთებელ-მოსაგვარებელი ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. მთავარი საქმე წინ არის. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, რელიგიური ღრმესასწაულები და წეს-ჩვეულებები თავისთავად არ ქრება ცალკეულ მორწმუნე ადამიანთა შეგნებაში. ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთათვის მათი არსის ახსნას, საჭიროა სისტემატური ინდივიდუალური მუშაობა, ამ მხრივ საქმიანობის მწყობრი სისტემა.

აჭარა თავისი ეთნიკური მდგომარეობით თავისებურია. ქალაქ ბათუმში არის მოქმედი ეკლესია და მეჩეთი, რამდენიმე სექტანტური ჯგუფი. იმის გამო, რომ დავკმაყოფილდით მიღწეულით, მოვადუნეთ სიფხიზლე, თავი წამოყვეს თვითმარქვია, მოხეტიალე კულტის მსახურებმა. ჯერ კიდევ არის რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის შემთხვევები დაგვაში, ქვედა აჭყვაში, ახალშენში.

ანგარებით შეპყრობილი თვითმარქვია კულტის მსახურები სოფლებში ზოგან „შეკლუდს“ კითხულობენ, ზოგან „ნუსხებს“ ავრცელებენ და ყველფერ ცალკეულ გულუბრყვილო მორწმუნეებს, ხიხაძირელი ბ. ბოლქვაძე, შუახეველი მ. ქარცივაძე კარდაკარ დახეტიალობდნენ, მაგრამ მათი სიყალბე საჯაროდ ამხილეს. შუახეველ ალი თავდგირიძესა და ხულელ შალვა აბულაძეს არავითარი სასულიერო განათლება არ ჰქონდათ, დიდი არაფერი გაგებულთდათ რელიგიისა, მაგრამ მაინც ღმერთის ქომაგად მოჰქონდათ თავი. ბოლოს შეიგნეს, რომ მცდარი იყო მათი მოქმედება და რაიონული გაზეთის ფურცლებზე საჯაროდ დაგმეს თავიანთი საქმიანობა, აღიარეს, რომ ატყუებდნენ გზასაცდენილ, სარწმუნოებრივ ბურანში გაბვეულ ადამიანებს.

თავისას არ იშლიან სექტანტებიც, სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანს გაელენის ქვეშ ჰყავს ოჯახის წევრები, მათ შორის ბავშვებიც, რომელთა თანდასწრებით არალეგალურად აწყობს ოჯახში რელიგიურ რიტუალებს, მოზარდებს უწამლავს, ართმევს ბავშვობას. მაგალითად, „ორმოცდაათიანელთა“ სექტის წევრის ვალერი საიკინის 4 ბავშვი მოსწავლეა. იგი აიძულებს შვილებს არ წავიდნენ სანაბადოის დაწესებულებებში, არ მიიღონ მონაწილეობა მასობრივ ღონისძიებებში, არ შევიდნენ პიონერიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ არის. და თუმცა პედაგოგიური კოლექტივი, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურ მუშაობას ეწევიან მორწმუნეებთან და მათს შვილებთან, მაინც ამ საქმიანობას, ყოველთვის ვერ მოაქვს სასურველი საბოლოო შედეგი.

ამიტომაც ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ გზაბნეული ადამიანები დავიცვათ ცრურწმენისაგან, გავათავისუფლოთ რელიგიის ბანგისაგან. ამ მხრივ კარგ შედეგს იძლევა მორწმუნეებთან ინდივიდუალური მუშაობა და რელიგიებს მიტმასნებულ თვითმარქვიათა მხილება.

ასეთები კი ჯერაც საკმაოდ არიან, მაგალითად, მოქალაქეები გ. ტარუსოვა და დ. კარავანი შემჩნეული იყვნენ რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი სურათებისა და რელიგიური ხასიათის წიგნების გავრცელებაში. მათ ჩამოართვეს ათობით დასახელების აკრძალული ლიტერატურა...

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ ავტონომიურ რესპუბლიკაში სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდა ბევრად კონკრეტული და შემტევი გახდა, პარტიული ორგანოები არც ერთ რეციდივს არ ტოვებენ ურეაგირებოდ. ასე მოიქცა, მაგალითად, პარტიის ხულის რაიკომი დიდაჭარის საშუალო სკოლის მასწავლებლის თ. ხოზრევანიძის მიმართ, რომელმაც იმის ნაცვლად, რომ მხარში ამოდგომოდა იდეოლოგიური დარგის მუშაკებს და თავისი წვლილი შეეტანა წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში, თავად იჩრიდა მცდარი გზა — შვილი მაჰმადიანური წესით მონათლა. იგი გაირიცხა სკკპ რიგებიდან. შუახევისა და ქედის რაიონებში კი ორცოლიანობისათვის პასუხისგებაში მიეცა რამდენიმე კაცი.

სოფლის ყრილობებზე, პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დიდი ყურადღება დაეთმო წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას. მაგალითად, შუახევის რაიონის სამოლეთის მშრომელთა ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს ზაბით ბერიძე, რომელმაც ხუთეიდე წლის წინათ მართალია საჯაროდ დაგმო რელიგია, მაგრამ ფაქტობრივად ჩუმად აგრძელებდა თავის ბნელ საქმეს. ზ. ბერიძის და მისთანების თვალთმაქცობა გამომჟღავნდა, საზოგადოებამ გაკიცხა ისინი.

აჭარის პარტიულ ორგანიზაციებს აფიქრებთ ისიც, რომ აქაურ მთის სოფლებში აქა-იქ ჯერ კიდევ შეხედნთ ქალისადმი ბატონყაყაცური დამოკიდებულების ფაქტებს, წარსულის ერთ-ერთ მანხნჯ და ვულგარულ გადმონაშთს. დღეისათვის საზოგადოებრივი ცხოვრებაში ქალის როლის დამცირება, მეტი რომ არა ვთქვათ, დანაშაულია. თავის დროზე ქართველმა ქალმა აჭარაში მამაკაცზე ნაკლები როლი როდი შეასრულა მშობლიური ენისა და ეროვნული ღირსებების გადასარჩენად. ქალი მუდამ მხარში ედგა მამაკაცს და მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს. ასე იყო და ასეა ამჟამადაც.

მაგრამ ღორჯომში, სამწუხაროდ, არიან ისეთი მამაკაცებიც, რომლებიც თავიანთი ოჯახის წევრ ქალებს არ აძლევენ ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსვლის, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას. ეს ნათლად გამოვლინდა ღორჯომის სასოფლო საბჭოს მშრომელთა ყრილობაზე, რომელზეც სასოფლო საბჭოს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ, პედაგოგმა ნაზიბროლა გელაძემ, მოწინავე მეთამბაქოემ ნაზი დავლაძემ და სხვებმა გაბედულად აღიმაღლეს ხმა მავნე გადმონათშების წინააღმდეგ.

ეს შემთხვევა მწარე, მაგრამ კარგი გაკვეთილი გახდა ჩვენთვის, ყრილობამ დაგვანახვა, რომ საქმისათვის საკმაოდ დაგვიკლია ხელი, ღრმად არ ჩაგვიხედავს, ადამიანთა სულში, აქტიურად ვერ დავხმარებივართ მათ, სიტყვისათვის მუდამ ვერ მიგვიყოლებია პრაქტიკული ნაბიჯი. ამიტომაც სხვანაირად მივუდექით საკითხს. შემდგომი შეხვედრების დროს საქმეში ჩავრთეთ ის აჭარელი ქალები, რომლებმაც შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობით საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. მოვაწყეთ შეხვედრები, გულახდილი საუბრები, გავმართეთ კონცერტები. ცოტა ხნის შემდეგ ხულელი, შუახეველი, ქედელი ქალებისათვის მოვაწყეთ ექსკურსიები საქართველოს ღირსშესანიშნაცი ადგილების გასაცნობად. ისინი გვყავდა აგრეთვე თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, როგორც იტყვიან, ქვეყანა მოვატარეთ. მათ საკუთარი თვალით ნახეს ახალი ცხოვრების სილამაზე.

ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტსაც, რომ ღორჯომის სასოფლო საბჭოში, რომელშიც 5 ათასზე მეტი კაცი შედის, არც ერთ ქალს არა აქვს უმაღლესი განათლება, როდესაც ღრმად ჩავწვდით აქაური ახალგაზრდების მისწრაფებას, ინდივიდუალურად ვიმუშავეთ მათთან, სწავლის გაგრძელების მსურველებიც გამოჩნდნენ და მშობლითა წინააღმდეგობაც გადაილახა. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, პედსასწავლებლისა და სამედიცინო სასწავლებელში წელს 10 ღორჯომელი გოგონა ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს.

საერთოდ ახალგაზრდობასთან მეტი მუშაობა გვმართებს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მას შეუძლია დიდი დახმარება გაგვიწიოს პრაქტიკული საქმიანობით, მხატვრული ღონისძიებების მოწყობით, მორწმუნეებთან ინდივიდუალური მუშაობით. მოწინავე ახალგაზრდებს შეუძლიათ აიყოლიონ თანატოლები, ააცდინონ ისინი მცდარ გზას, გაუღვიძონ მათ კარგი სწავლისა და საზოგადოებრივი საქმიანობის სურვილი. ამასთანავე ვცდილობთ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის აქცენტი გადავიტანოთ იმაზე, რომ ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახების ყოფა-ცხოვრება მისაბაძი იყოს ყველა მშრომელისათვის.

ცნობილია, რომ ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა არსებითად ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლაა. ამიტომაც ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მტრული იდეოლოგია არ შემოიპრას ადამიანთა ფსიქიკაში. ამას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, რადგან ცალკეული ადამიანები, აი თუნდაც ის თვითმარქვია მოლები, გამომძალვის მიზნით კარდაკარ რომ დაეხეტებიან და წამლავენ უვიცთა ფსიქიკას, თავიანთი „მოღვაწეობით“ ნებსით თუ უნებლიეთ კლასობრივი მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. სწორედ ამიტომ უარყოფითად ვაფასებთ არა მარტო თვითმარქვიათა მოქმედებას, არამედ მათი ოჯახის წევრების პოზიციასაც, რომლებიც პასიურად შეჰყურებენ, არ აღკვეთენ მათ მავნე ქმედებას. ამიტომაც იყო, რომ პარტიის შუახევის რაიკომმა მკაცრად იმსჯელა სოფელ დარჩიძეების საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის ალექსანდრე ბერიძისა და ხიბაულის საფოსტო განყოფილების უფროსის ნოდარ ცინცაძის მცდარ, პასიურ პოზიციაზე, რომელთა შობლები შემჩნეული არიან როგორც თვითმარქვია, მოხეტიალე კულტის მსახურნი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და მითითებათა კვალობაზე ამ ერთი წლის განმავლობაში აჭარის პარტიულმა ორგანიზაციამ, იდეოლოგიური დარგის მუშაკებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს. მაგრამ შეგნებული გვაქვს ისიც, რომ გასაკეთებელი უფრო მეტია.

ძალზე საინტერესო და სასარგებლო იყო საშეფო კონცერტები და საკონცერტო ბრიგადები, რომლებიც გამართეს შთის რაიონების სოფლებში ბათუმის სახელმწიფო თეატრმა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. მშრომელებთან საინტერესო შეხვედრები ჰქონდათ ცნობილ მწერლებს ვახტანგ ჭელიძეს, გურამ ფანჯიკიძეს, ფრიდონ ხალვაშს, კომპოზიტორებს ანდრია ბალანჩივაძეს, სულხან ცინცაძეს, მუსიკათმცოდნეებს მანანა ახმეტელს, ნანა ქავთარაძეს, კინომსახიობებს ლია ელიავას, ოთარ კობერიძეს, მოუდრაკე ნონა გიფრინდაშვილს, რომლის ინიციატივითაც ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარაში გაიხსნა ჭადრაკის კლუბი...

მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია აგრეთვე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის შემდგომი განვითარება, სკოლების, კულტურის კერების, კინოშესლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში შეიქმნა ათეიზმის პრობლემების შემსწავლელი კომისია, ინსტიტუტის სოციოლოგიურმა განყოფილებამ რელიგიისადმი დამოკიდებულების შესასწავლად მოაწყო ანკეტური გამოკითხვა, შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, გამოსაცემად მომზადდა კრებული „ათეიზმი, რელიგია, თანამედროვეობა“. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრამ შეიმუშავა სამეცნიერო-ათეისტური პროპაგანდის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი. კათედრის წევრმა გ. დავითაძემ გამოსცა წიგნი „ისლამი და მისი მავნეობა“. მზადდება იდეოლოგიურ მუშაკთა სტატიების კრებული „რელიგია და თანამედროვეობა“. მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სამეცნიერო-ათეისტური ცოდნის პროპაგანდა სოლქო, რაიონულმა გაზეთებმა, აჭარის რადიომ, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა. მაგრამ ესეც არ კმარა. საჭიროა გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ კონკრეტული საქმეების მოგვარება ცოცხალ აგიტაციაზე ნაკლებად როდი მოქმედებს. უფრო აქტიური უნდა გავხდოთ სამედიცინო დაწესებულებების მონაწილეობა მთის რაიონებში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. როგორც ვხედავთ, გასაკეთებელი და ახლებურად გასაზრებელი კვლავაც ბევრია.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ პარტია იდეოლოგიური მუშაობის დონეს ზომავს პრაქტიკული შედეგით. იმით, თუ რა ზემოქმედებას ახდენს იგი საზოგადოების წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანების განხორციელებაზე. ეს იხება როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას. ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა სრულად უპასუხებდეს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ხელს უწყობდეს გარდაქმნის, დაჩქარების პროცესს, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებას. ეს არის ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი.

ნ. დუმბაძე,
საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ჩავწვდეთ ადამიანთა გულს

ვამოწმეგთ დადგენილების შესრულებას

ბა ხომ ყველაზე უკეთ მისი სიბოლოო შედეგებით განისაზღვრება. ამდენად ამაზე არც შევაჩერებთ განსაკუთრებულ ყურადღებას. მით უფრო, რომ საფიქრალსაზრუნავი და გასაკეთებელ-მოსაგვარებელი ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. მთავარი საქმე წინ არის. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, რელიგიური ღრმესასწაულები და წეს-ჩვეულებები თავისთავად არ ქრება ცალკეულ მორწმუნე ადამიანთა შეგნებაში. ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთათვის მათი არსის ახსნას, საჭიროა სისტემატური ინდივიდუალური მუშაობა, ამ მხრივ საქმიანობის მწყობრი სისტემა.

აჭარა თავისი ეთნიკური მდგომარეობით თავისებურია. ქალაქ ბათუმში არის მოქმედი ეკლესია და მეჩეთი, რამდენიმე სექტანტური ჯგუფი. იმის გამო, რომ დავკმაყოფილდით მიღწეულით, მოვადუნეთ სიფხიზლე, თავი წამოყვეს თვითმარქვია, მოხეტიალე კულტის მსახურებმა. ჯერ კიდევ არის რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის შემთხვევები დაგვაში, ქვედა აჭყვაში, ახალშენში.

ანგარებით შეპყრობილი თვითმარქვია კულტის მსახურები სოფლებში ზოგან „შეკლუდს“ კითხულობენ, ზოგან „ნუსხებს“ ავრცელებენ და ყველფერ ცალკეულ გულუბრყვილო მორწმუნეებს, ხიხაძირელი ბ. ბოლქვაძე, შუახეველი მ. ქარცივაძე კარდაკარ დახეტიალობდნენ, მაგრამ მათი სიყალბე საჯაროდ ამხილეს. შუახეველ ალი თავდგირიძესა და ხულელ შალვა აბულაძეს არავითარი სასულიერო განათლება არ ჰქონდათ, დიდი არაფერი გაგებულთდათ რელიგიისა, მაგრამ მაინც ღმერთის ქომაგად მოჰქონდათ თავი. ბოლოს შეიგნეს, რომ მცდარი იყო მათი მოქმედება და რაიონული გაზეთის ფურცლებზე საჯაროდ დაგმეს თავიანთი საქმიანობა, აღიარეს, რომ ატყუებდნენ გზასაცდენილ, სარწმუნოებრივ ბურანში გაბვეულ ადამიანებს.

თავისას არ იშლიან სექტანტებიც, სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანს გაელენის ქვეშ ჰყავს ოჯახის წევრები, მათ შორის ბავშვებიც, რომელთა თანდასწრებით არალეგალურად აწყობს ოჯახში რელიგიურ რიტუალებს, მოზარდებს უწამლავს, ართმევს ბავშვობას. მაგალითად, „ორმოცდაათიანელთა“ სექტის წევრის ვალერი საიკინის 4 ბავშვი მოსწავლეა. იგი აიძულებს შვილებს არ წავიდნენ სანაბადოის დაწესებულებებში, არ მიიღონ მონაწილეობა მასობრივ ღონისძიებებში, არ შევიდნენ პიონერიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, გამონაკლისი არ არის. და თუმცა პედაგოგიური კოლექტივი, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები სისტემატურ მუშაობას ეწევიან მორწმუნეებთან და მათს შვილებთან, მაინც ამ საქმიანობას, ყოველთვის ვერ მოაქვს სასურველი საბოლოო შედეგი.

ამიტომაც ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ის არის, რომ გზაბნეული ადამიანები დავიცვათ ცრურწმენისაგან, გავათავისუფლოთ რელიგიის ბანგისაგან. ამ მხრივ კარგ შედეგს იძლევა მორწმუნეებთან ინდივიდუალური მუშაობა და რელიგიებს მიტმასნებულ თვითმარქვიათა მხილება.

ასეთები კი ჯერაც საკმაოდ

23 დეკემბერი ● საკრედსი იუწყება

ინფორმაცია

ფაქტები • მოვლენები

ყველა ხალხის სასიკეთოდ

პრაღა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირი შეწყვეტს თავის მორატორიუმს მომავალ წელს ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ბირთვული აფეთქების შემდეგ. ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც აქ გამოაქვეყნა ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ.

სსრ კავშირის ცალმხრივი მორატორიუმი და მოქმედება ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, აღნიშნულია დოკუმენტში, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მიაჩნია პასუხისმგებლობის, სიბრძნისა და იმ მისწრაფების გამოხატულებად, რომ შეინარჩუნოს მშვიდობის განმტკიცების, უშიშროებისა და თანამშრომლობის პერსპექტივები. 2000 წლისათვის მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის საბჭოური პროგრამა, აგრეთვე რეიკიავიკის შეხვედრაზე სსრ კავშირის პოზიცია მთლიანად შეესაბამება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური სამდივნო მოუწოდებს ობიექტურად გადაუკონ ყოველგვარი ბირთვული აფეთქების სსრ კავშირის მორატორიუმთან დაკავშირებული საკითხები და მისი პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა თავრობის 18 დეკემბრის განცხადებაში, ნათქვამია დოკუმენტში.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური სამდივნოს განცხადება

უშიშროების საბჭოში

სერიოზული შეშფოთება

ირან-ერაყის გაჭიანურებული კონფლიქტის გამო

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ირანსა და ერაყს მოუწოდა მათ შორის არსებული გაჭიანურებული კონფლიქტი მოაწესრიგონ მშვიდობიანი საშუალებებით და ამ მიზნის მისაღწევად ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან და უშიშროების საბჭოსთან.

საბჭოს განცხადებაში, რომელიც მის სხდომაზე ორშაბათს გამოაქვეყნეს, ხაზგასმით არის აღნიშნული ღრმა შეშფოთება სერიოზული სიტუაციის გამო, რომელიც წინანდებურად არსებობს ირან-ერაყის ურთიერთობაში.

უშიშროების საბჭომ მზარდი წუხილი გამოთქვა აგრეთვე კონფლიქტის გაფართოების გამო, რაც გამოწვეულია წმინდა სამოქალაქო ობიექტებზე, საკაჭრო გემებსა და სანაპირო სახელმწიფოების ნავთობის დანადგარებზე ზშირი თავდასხმებით. მან მოუწოდა, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, პატივი სცეს რეგიონის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, თავისუფალი ნაოსნობისა და ვაჭრობის, აგრეთვე საზღვაო დანადგარების ექსპლოატაციის უფლებებს.

◆ პაკისტანი

შეიქმნა ახალი მთავრობა

ისლამაბადი. პაკისტანის პრეზიდენტმა ზია-ულ-ჰაქმა ფიცი დაადებინა ქვეყნის ახალ მინისტრთა კაბინეტს, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ჯ. მ. ჯუნეჯომ ჩამოაყალიბა. კაბინეტის შემადგენლობაში შევიდა 12 მინისტრი და 4 სახელმწიფო მინისტრი. რეორგანიზაცია არ შეხებია საკანონმდებლო პოსტებს მთავრობაში. ექვსმა მინისტრმა შეინარჩუნა თავისი პორტფელი, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ასლამ ხან ჰათაქმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა საჰიბზადა იაკუბ ხანმა.

◆ ინგლისი

დემონსტრაცია საელჩოსთან

ლონდონი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ლონდონის საელჩოს შენობასთან გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია პრეტორიის რასისტ ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ. მისმა მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს დანაშაულობანი, რომლებსაც ბოტას რეჟიმი სჩადის, გათავისუფლდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა დილეგებში დამწყვდეული აფრიკელები.

◆ ანგოლა

რასისტთა აგრესიული აქცია

ლუანდა. 18 დეკემბერს ღამით რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეგულარული არმიის რამდენიმე ქვეგანაყოფი კვლავ შეიჭრა ანგოლის ტერიტორიაზე და 100 კილომეტრით წაიწია ქვეყნის სიღრმეში უილის პროვინციის დასახლებული პუნქტის შუმბის მიმართულებით.

ამას იუწყება ანგოლის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს მეზობელ სამხეკრო ოლქის შტაბის წარმომადგენლის განცხადებას. შანგონგო-მონგუას გზატკეცილზე კუნენის პროვინციაში ინტერვენტები, რომლებსაც აღალით მიჰყვებოდნენ უნიტას ტერორისტული დაჯგუფების ბანდები, ჯერ შეაჩერეს, შემდეგ კი უკუაგდეს ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა. ანგოლის არმიის კონტრშეტევის შედეგად რასისტებს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ. მოწინააღმდეგის განადგურებული ძალების ნაშთებმა, იუწყება შტაბის წარმომადგენელი, დაიხიეს კუამატუს დასახლებული პუნქტისაკენ, სადაც თავმოყრილია პრეტორიის რეჟიმის არმიის ზურგის უზრუნველყოფის ქვეგანაყოფები და დივერსიული ჯგუფები.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **დამასკო. სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას დამასკოს უნივერსიტეტთან რუსული ენის ინსტიტუტის შექმნის შესახებ. ახალ სასწავლებელში რუსული ენას ასწავლიან მომავალ სტუდენტებს და ასპირანტებს, სანამ ისინი საბჭოთა კავშირში გამოიმგზავრებიან სსრ კავშირის უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში უმაღლესი განათლების ან სამეცნიერო ხარისხის მისაღებად.**

◆ **ნიუ-იორკი. „შეწყდეს ისრაელის ოკუპაცია“, „თვითგამორკვევის უფლება — პალესტინელ ხალხს“ — ასეთი ლოზუნგებით ნიუ-იორკში გაიმართა ამერიკის საზოგადოებრიობის დემონსტრაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის მუდმივი წარმომადგენლობის შენობასთან გამართული მანიფესტაციის მონაწილეებმა მოითხოვეს ყველა პალესტინელი პოლიტიკური პატიმრის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, პალესტინელთა კუთვნილი მიწების კონფისკაციის, პალესტინელთა ძალმომრეობითი დეპორტაციის შეწყვეტა.**

ახლებური აზროვნების დეფიციტი

საერთაშორისო შენიშვნები

ოდითგანვე ასეა — მოვლენები, ჩვეულებრივ, წინ უსწრებს პოლიტიკურ პროცესებს, და ეს უკანასკნელი ხშირად რეაგირების ფორმით გამოიხატება. საერთაშორისო ურთიერთობათა ქრონიკებში, სამწუხაროდ, ომები და კონფლიქტები გაცილებით ჭარბობს ისეთ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს სადავო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგება. შეიძლება ასეც უნდა ყოფილიყო ეპოქაში, როდესაც ომი გადარჩენის საშუალებად მიაჩნდათ. ძველ რომაელებს, მაგალითად, ბრძნულად მაინდათ ფორმულა — „თუ მშვიდობა გსურს, ომისათვის ემზადეო“, მაგრამ მშვიდობა რომ მაინც უცხო ხილი იყო რომში? საბოლოო ანგარიშით კი ომებისათვის მუდმივმა მზადყოფნამაც ხომ ვერ იხსნა რომი.

ხშირად ასეთ დასკვნასაც გაიგონებთ: ტექნიკური აზროვნება მუდამ ერთი ნაბიჯით უსწრებს პოლიტიკურ აზროვნებასო. ამის მაგალითია გამალებული შეიარაღება და განიარაღებისათვის ბრძოლა. სანამ დიპლომატები ამა თუ იმ სახეობის იარაღის შეზღუდვაზე ბჭობენ, მეცნიერები უკვე ახალ თაობათა (უფრო მძლავრ და მომაკვდინებელ) იარაღს ქმნიან.

როდესაც ეიზენჰაინი ყველას გასაგონად წუხდა, ბირთვულმა იარაღმა ყველაფერი შეცვალა გარდა ადამიანის აზროვნებისაო, მას სწორედ ახლებური პოლიტიკური აზროვნების დეფიციტი ჰქონდა მხედველობაში. მას შემდეგ თითქმის ოთხმა ათეულმა წელმა განვლო. ის, რაც 40-იანი წლების დამლევს მხოლოდ რჩეულთა მხედველობის არეში იყო, 80-იანი წლები შუა პერიოდში უკვე ზოგადსაკაცობრიო ეღერადობის დილემად იქცა.

მაინც, რამ განაპირობა ახლებური პოლიტიკური აზროვნების გადაუდებელი აუცილებლობა ჩვენს დროში? არის თუ არა იგი კ

მომკითხვი ლოგის საზომი

აბუჩად აგდებული მგზავრები

დასვენების დღეებში მრავალი ქალაქელი მიეშურება სოფლად. ზოგი იქერს თადარიგს და წინასწარ იძენს ბილეთს, რათა უკან შეუფერხებლად დაბრუნდეს. და რა ბედის ირონიაა, როცა ყოველივე ეს უქმად ჩაგვლის. გამოგიცხადებენ, თქვენი ადგილები გაყიდულიაო, და რჩები წასუსელი. მთ უმეტეს, თუ მეორე დღეს სამსახურში უნდა იყო.

ასე დაგვემართა 30 ნოემბერს. ჭიათურა-თბილისის მარშრუტის ავტობუსზე, როგორც წესი, ათი ბილეთი 17-26 ადგილის ჩათვლით საჩხერიდან მმავალთათვის არის განკუთვნილი და ბილეთებიც საჩხერეში იყიდება. ამ დღეს ათი მგზავრი ავტოვაგზალში მოომნენებთან ელოდა ავტობუსის გამოჩენას. დანიშნულ დროს — დღის სამ საათზე კიდევ მოვიდა. მძღოლს მოხერხებულად ჩაეკეტა შესასვლელი კარი და სარკმლიდან რიხიანად გადმოსძახა:

— ავტობუსში არავინ შემოვიდეს, თქვენი ადგილები ჭიათურაში გაუყიდიათო!

ნეტავ გენახათ ელდანაცემი მგზავრების სასოწარკვეთილი სახეები. ვის არ მიმართეს, მაგრამ სანუგეშო ვერავინ ვერაფერი უთხრა. ეს ბოლო რეისი იყო. იმ ათი მგზავრიდან მხოლოდ ორმა იძალა და ავიდა ავტობუსში. თუ რა დღე დაადგათ, თავად განსაჯეთ, ასე შორ გზაზე მუხლი არ ჩაუხრიათ ასაკში შესულ ადამიანებს. ჩამწარდათ დასვენების დღე საქართველოს პოლიტეკნიკური ინსტიტუტის სტუდენტს ლია შეყლაშვილს, მოსამსახურეებს და დიასახლისებს ლეილა შუკაიძეს, მადონა სხირტლაძეს, ნიურა ბეგალოვას და სხვებს, რომლებიც გვიან საღამომდე ამაოდ იცდიდნენ შარაგზაზე გამვლელი მოხალტურე მანქანების მოლოდინში.

ასე აიგდეს ჭიათურის ავტოვაგზლის მუშაკებმა მგზავრები აბუჩად. ეს დროზე შეიტყო ვაგზლის უფროსმა თ. მოდებაძემ. მას კიდევ ჰქონდა მდგომარეობის გამოსწორების საშუალება, მაგრამ თავი არ შეუწუხებია, მომხდარი ფაქტი მოლარის შეცდომად ჩაუთვლია, ხოლო თავის დასაცავად მძღოლისთვის „ბრძნული“ რჩევა მიუცია: საჩხერის ავტოვაგზალში აღარ შეიაროო. მაგრამ მძღოლი შ. აბაანდაძე საკმაოდ წინდახედული კაცი აღმოჩნდა, არ შეასრულა ეს თავხედური მითითება, საჩხერეში შეიარა და მგზავრები გაიფრთხილა: როგორმე თქვენ გზას ეწიეთო.

ჭიათურის ავტოვაგზალში ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. ამას წინათ აქ მწყობრში ჩადგა ავტოვაგზლის ახალი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა ვრცელი მოსაცდელი დარბაზითა და სხვა სათავსებითურთ. მაგრამ კარგ პირობებს აქ კარგად ვერ იყენებენ. ხშირად მგზავრები უმაყოფილო რჩებიან, არის კარი ადგილი ორი ბილეთის იყიდეს უმთხვევები. ზოგიერ ბილეთების გარკვეულ რაოდენობას არ იყიდიან და ავტობუსი უბილეთო მგზავრები მოიკალთებენ ბოლომ. [illegible] ბილეთებზე [illegible] მგზავრებს. ბილეთები წინასწარ [illegible] ბილეთის წინასწარ შესაძენად, იქ უნდა დაადგეს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მიაღწიო საწადელს. არის სხვა არასასურველი ფაქტებიც, მაგრამ მათ უფრო დაწვრილებით ალბათ სათანადო სამსახური შეისწავლის, დამნაშავეებს საკადრისად მიუზღავენ და ბოლოს და ბოლოს ავტოვაგზლის მუშაობაში წესრიგს დაამყარებენ.

გ. დევიძე.

მკაცრად მოვთხოვოთ კანონის დამრღვევთ

ლება საკუთარი ღირსებისა და ადამიანურობის შელახვად მიაჩნიათ. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბევრ მათგანს არ ეშინია, რომ ამის გამო მას პასუხს მოსთხოვენ

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 237 მუხლის მეორე პუნქტით შრომის კანონმდებლობის დაცვის ზედამხედველობა და კონტროლი ეკისრებათ პროფკავშირის ორგანოებს, ხოლო ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციის და მათი ხელმძღვანელების მიერ შრომის კანონმდებლობის ზუსტი შესრულების უმაღლეს ზედამხედველობას პროკურატურის ორგანოები ახორციელებენ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ან

გულგრილობის შედეგი

სოფელ კომანდელში (ონის რაიონი) ერთ დროს სიცოცხლე დუღდა, მის მცხოვრებლებს საკავშირო არაფერი გვქონდა. გავიდა ხანი და, როგორც რაიონის სხვა მთის სოფლებს, მასაც ხელი დარია მიგრაციის ულმობელმა პროცესმა. დროის მოკლე მონაკვეთში მოსახლეობა განახევრდა. რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული ქმედითი ღონისძიების შედეგად ბოლო ხანს აქ მცხოვრებთა რიცხვი მატულობს, სოფელი ხალხით ივსება. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, მომრავლდა ბავშვები.

სამწუხარო ის არის, რომ რატომღაც ნელა უმჯობესდება სოფლის მცხოვრებთა პირობები. აი, თუ გნებავთ, ავიღოთ ისეთი აუცილებელი რამ, როგორიც სასმელი წყალია. იგი სოფელში დიდი დეფიციტი გახდა. მართალია, წყალი ერთ ადგილას მოწაწწკარებს, მაგრამ ეს მოსახლეობას არ ჰყოფნის.

წყალი, გარდა მოსახლეობისა, მეურნეობის პირუტყვის ფერმასაც სჭირდება. დღემდე აქ ძროხების დასარწყულებლად და ჭურჭლის სარეცხად რუს წყალს იყენებენ, რომლის სათავეს ხშირად ღორები ამოვრევენ, ბინძურდება მეცხოველეობის პროდუქტები, ქვეითდება მათი ხარისხი.

სოფელში წყლის გამოყვანის ბევრი საშუალება არსებობს, მათ გამოსაყენებლად კი ადგილობრივი ხელმძღვანელობა გადამწყვეტ ზომებს არ მიმართავს. საკითხავია, როდემდე იქნება სოფელი კომანდელი უწყლოდ?!

ვ. გამყრელიძე,
დიდი სამამულო ომის მონაწილე.

„ავანგარდი“ მაინც არ ერძვას

სანამ ბოლომდე ჩაიკითხავდეთ, წინასწარ მოგასენებთ, რომ თქვენ წინ მდებარე წერილს ოცდათვრამეტი კაცი აწერს ხელს. კიდევ ბევრი იყო მსურველი — თითქმის მთელი დასახლება, მაგრამ ქაღალდი დავზოგეთ.

საქმე „ავანგარდს“ ეხება. ამ სახელით არის ცნობილი ქუთაისის ერთ-ერთი ახალდასახლება. იგი მართლაც „ავანგარდია“ იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მხრივ, რომლებიც საბჭოთა მოქალაქის გუნება-განწყობილებას უფუჭებს და შრომის ხალისს უკარგავს.

„ავანგარდში“ ცხოვრობენ სამმეფო ომისა და შრომის ვეტერანები, ქუთაისის სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებათა წამყვანი სპეციალისტები და მუშები. რომელიმე მათგანს თუ შეეკითხებით, ან სიტყვას ჩამოუგდებთ საყოფაცხოვრებო პირობების თაობაზე, ან უკმაყოფილოდ ჩაიქნევს ხელს, უსიტყვოდ დაგაცილდებათ, ან კიდევ ირონიულად იტყვის:

— „ავანგარდი“, ბატონო, ქუთაისის გერია, ახლა თქვენ მიხვდით როგორ ვცხოვრობთ...

კოლოსალური სახსრები ხმარდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მაგრამ როგორია ამ სახლების მშენებლობის ხარისხი?

უნდა ითქვას, რომ მეტისმეტად ცუდი. ავიღოთ თუნდაც ჩვენი სახლის მაგალითი (მშენებლის ქ. №33, ბინა №10). ხელმეორედ არის გასაკეთებელი სანტექნიკა და ელექტროგაყვანილობა, დაბრეცილია კარ-ფანჯრები, გასალესია კედლები, ჭერი, ტიხრები და... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

ამას ისიც ემატება, რომ ეზო დაჭაობებულია და სავსეა საშენი მასალების ნარჩენებით, ასე რომ, მაღაზია დალუქეს, გამგეც აღარ შეუშვეს, და ახლა სახელმწიფო ქოხება ლუბა და მღრღნელები ანადგურებენ.

სოფლის მოსახლეობა უმაღაზიოდ არ დარჩებოდა, აფხაზოოკავშირის გამგეობას დროულად რომ დაემთავრებინა სავაჭრო ცენტრის მშენებლობა. მისი აგება ხუთი წლის წინათ დაიწყო და ჯერაც აგურზე არ დადებულა. ხუთიდ ხუთ წელზე მეტი დრო სჭირდება ერთსართულიანი შენობის აშენებას?!

სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ აღარ ვიცით, რომელი ერთი მოგახსენოთ.

ვ. ჭანია — სოციალისტური შრომის გმირი, მ. ჯოჯუა, ი. გიორგლენდია — შრომის ვეტერანები, კ. ქირთბაია — მეურნეობის მუშა, ბ. საჯაია—მაღაზიის გამგე.

ლებარდეს მზრუნველი ხელი აკლია

კურორტი ლებარდე გეგეჭკორის რაიონული ცენტრიდან 60 კილომეტრზე მდებარეობს. ადრე იქ დამსვენებლები ცხენებით, ურმებით და ფეხით მიდიოდნენ. ახლა სამანქანო გზაა, მაგრამ ვაი ამ გზას. ვიწრო მოსახვევებსა და ოღროჩოღოლოებში მანქანები ერთმანეთს გვერდს ვერ უვლიან... აქ მხოლოდ საოცრად ლამაზი ბუნება გაჯადოებს. ადიხარ მაღლა, სულ მაღლა და 1640 მეტრ სიმაღლეზე აღმოჩნდები „კურორტის ტერიტორიაზე“, რომელიც ასწლოვანი ხეების ტყეში ჩამჯდარა. მაშინვე თვალში გეცემა ძველი ქოხმახები, მოუკირწყლავი, ქვაღორღიანი გზები. ხშირად არც წყალია, არც სინათლე, აქ უამრავი საჭირბოროტო საკითხია გადასაჭრელი და მოსაგვარებელი.

კურორტის ერთადერთი მშვენება ახალგაგებული კოტეჯია. დასასვენებელი ადგილის სიმცირის, საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობის გამო ამჟამად ლებარდეში ერთდროულად ჯანმთელობას მხოლოდ 300-400 დამსვენებელი იკაჟებს.

დროა დაიწყოს სამკურნალო მჟავე წყლითა და ჰაერით განთქმული კურორტის კეთილმოწყობა.

ლებარდეს მზრუნველი ხელი სჭირდება.

ა. ჩარკვიანი.

სათქმელი ბევრი გვაქვს...

ოტობაია გალის რაიონში ყველაზე დიდი სოფელია. აქაურები მეგოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში არიან გაერთიანებული, მაგრამ ჩვენი მეურნეობა არარენტაბელურია, და იქნებ ამიტომაც სოფელს თანამედროვეობისა არაფერი არ ეტყობა. ისე კი ხალხს დიდი სურვილი აქვს, რომ ჩვენი მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩადგეს. ვეძებთ რეზერვებს და ყოველნაირად ვცდილობთ, რომ დღეს გუშინდელზე უკეთ ვიშრომოთ.

კაცმა რომ თქვას მარტო ჩვენ ვერას გავხდებით, თუ შესაბამისმა ორგანოებმა ხელი არ გაგვიმართეს. საქმე ის არის, რომ ბევრ სოფელში ხუთასამდე სკოლამდელი ასაკის ბავშვია და იმის გამო, რომ სოფელს ბაგა-ბაღი არა აქვს, ყმაწვილები შინ ჰყავთ და ქალები ამის გამო ოჯახს არაადა, ამ საკითხის გადაწყვეტით ჩვენი მეურნეობა ეკონომიურად გაძლიერდებოდა. აღმოთფხვრებოდა ნაკლოვანებანი, რაც დღესდღეობით სოფელში არის და რაც შრომის ხალისზე ზოგჯერ უარყოფითს გავლენას ახდენს.

ამ წერილში ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით. იმას კი ვიტყვით, რომ რაიონული ცენტრისკენ მიმავალი გზა დანგრეულია და მისი აღდგენისათვის თავს არავინ იწუხებს. ისიც სამეგრელია, რომ სოფელში ხუთასამდე სკოლამდელი ასაკის ბავშვია და იმის გამო, რომ სოფელს ბაგა-ბაღი არა აქვს, ყმაწვილები შინ ჰყავთ და ქალები ამის გამო ოჯახს არიან მიჯაჭვულები, ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. არადა, ქალის ხელი საბჭოთა მეურნეობის ძალიან სჭირდება, რადგან მისი ძირითადი დარგი მეგოსტნეობაა.

ოტობაიელები შრომისმოყვარე ხალხია, თუმცა მუშაობის პირობები ყოველთვის არა გვაქვს. ერთი სამრეწველო მაღაზია გვქონდა სოფელში, იგი მოთავსებული იყო 1929 წელს აშენებულ შენობაში. შენობა ერთობ მოძველდა და ამის გამო სოხუმის მეგანძრეთა ნებაყოფლობით მა საზოგადოებამ დაგვიკეტა. მხოლოდ მაღაზიის გამგეს დართეს ნება დროდადრო გაიღო კარი და საქონელი გაენაოვებინა. შემდეგ „კარგ დროს“ გვატარებინებენ“ ქაობის ბინადარნი და პირუტყვი, სახლის ეზოებში რომ ნებივრობენ.

იტყვით, რა ამბავიაო, მაგრამ იმის უთქმელობაც არ შეიძლება, რომ არ გაგვაჩნია საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტები, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი გვანებივრებს, შაბათ-კვირას მაინც სულ მთლად გატანჯული ვართ უტრანსპორტობით.

რაიმე უბედურება რომ შეგვემთხვეს, ვერც მილიციას შეეტყობინებთ და ვერც სასწრაფო დახმარებას. ტელეფონი ჩვენთვის უცხო ხილია.

ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს ჩვენი გაჭირვების ამბავი თქვენს მეტს არავის შეეჩივლეთ.. პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტს და საქართველო რაიონის ხელმძღვანელობას წერილობით ვაცნობეთ ყოველივე, მაგრამ პასუხები დღემდე არ მიგვიღია.

შ. ნემსაძე, ბ. გიორგაძე, ბ. კაკაბაძე და სხვები.

მკითხველი გვთავაზობს, გვირჩევს, ამხილებს

ტელეფონი

- **შრომის კანონმდებლობა ზუსტად უნდა შესრულდეს**
- **სოფელს მზრუნველობა სჭირდება**
- **დადუმებული ტელეფონები**
- **კარგ პირობებს კარგად ვერ იყენებენ**
- **კურორტი კეთილმოწყობას მოითხოვს**
- **როცა პასუხი ულიმღამოა**
- **ასალდასასლები შუქ-ჩრდილები**
- **იძულებით შეკვნილი ბილეთი**
- **ფალსიფიკატორის ბოგინი დასრულდა**

„ძალად მაცხონე“ მოლარე

ფლეულს სამ სექტემბერს ცაგერში დაკრძალვაზე მივდიოდით. ქუთაისის ავტობუსების სადგურის მოლარეს ბილეთები ვთხოვეთ. მან გვიპასუხა, ცხრა საათზე ცაგერის გავლით გადის ლენტეხის ავტობუსი, თუ ბოლო გაჩერებამდე შეიძენთ ბილეთებს, მოგართმევთო.

რა გაეწყობოდა, დავთანხმდით, ამა ჩვენი გულისთვის დაკრძალვას ხომ არ გადადებდნენ. ბილეთის ღირებულება ლენტეხამდე გადავიხადეთ და ცაგერამდე ვიმგზავრეთ (ცაგერიდან ლენტეხამდე 22 კილომეტრია). ძვირფასო რედაქციავ, სამართლიანია ქუთაისის ავტობუსების სადგურის მოლარის მოქმედება? სამწუხაროდ, არც გვარი ვიცით მისი და არც სახელი.

ისე, ურიგო არ იქნება, თუ ავტობუსების სადგურებში (საერთოდ), თვალსაჩინო ადგილზე იქნება მოთავსებული მოლარისა და ყველა ამ მუშაკის გვარი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის პასუხისმგებელია. მაშინ მგზავრს სამკითხაოდ აღარ იქნება საქმე.

ჩვენი წერილი რომ სამართლია, ამის დასადასტურებლად წერილთან ერთად გიგზავნით ავტობუსის ბილეთებს, რომლებიც სურვილის საწინააღმდეგოდ შეგვაძენინა „ძალად მაცხონე“ მოლარემ.

დ. ახვლედიანი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

კაკა გიგო.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ლაკონური ამბავი

დაკარგული სიხარული

სამ წელზე მეტია ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვში ორმოცდაათნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური დამონტაჟეს. გაიხარა ორმოცდაათმა ოჯახმა, მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. სამ თვესაც არ უმუშავია ტელეფონებს.

დარეკვის რა მოგახსენოთ, მაგრამ წერილობით კი ვაცნობეთ ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ დაპირება და მხოლოდ დაპირება — აი ეს არის ერთადერთი, რასაც ჩვენთვის არ იშურებენ...

დალოცვილები ტელეფონის ქირას კი უკლებლივ და დროზე გვახდევინებენ და ჩვენც, გვინდა თუ არა, ვაკმაყოფილებთ მათს სურვილს, რადგან გვაშინებენ ტელეფონის ნომრებს გაგიუქმებთო.

ამ გაჭირვებაში ვართ კეხველები და ველოდებით გულისხმიერ ადამიანს, რატომღაც გვგონია, რომ გამოჩნდება იგი და დაგვიბრუნებს პირვანდელ სიხარულს ტელეფონების დადგმისას რომ განვიცადეთ.

ნ. ბერუაშვილი.

„ჟამი“ ფალსიფიკატორი

ROCA ლოთის ოჯახი დაქცევის საშიშროების წინაშე დგას, სპირტიანი სასმელების სპეკულანტი და ქორვაჭარი უშრომელი შემოსავლით გამდიდრებაზე ოცნებობს. სწორედ ასეთია ივანე სარქისის ძე გრიგორიანი. იგი თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ზეიხლად მუშაობდა, ცოლ-შვილთან ერთად გლდანის მასივში ახალმიღებულ ბინაში ცხოვრობდა, მაგრამ საამუშაოს დამთავრების შემდეგ გული მაინც მშობლიური უბნისაკენ მიუწევდა. აქ მას გუთნის ქუჩაზე მშობლები ეგულებოდა, მშობლებთან კი — იარლიყიანი ბოთლები, ალუმინისგან დამზადებული ხუფები, შიგ ჩასაფენი მუყაოს ნაჭრები და დასახუფი ხელსაწყო. ცხადია, ყველაფერი ეს საგულდაგულოდ სარდაფში ინახებოდა, აქ ერთ დროს მამამისს — სარქის გრიგორიანს ფალსიფიცირებული არყის გასაღებლმლოებული საამქრო ჰქონდა გახსნილი და გვარიანად ხვეტდა ფულს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სარქისმა ფალსიფიცირებული არყის დამზადებაზე ხელი ჩაიქნია, მაგრამ ოჯახური ტრადიცია რომ არ დარღვეულიყო, ხელობა შვილს გადაულოცა.

— სპირტი? — იკითხა ივანემ.

— ჯერ წყალი მოიკითხე, ონკანს მოუშვი, თუ ზღვის წყალმა იშხუკლა, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, — დაარიგა მამამ შვილი.

შეახო ონკანს ხელი ივანემ, და წყალმა იშხუკლა, ამ დროს კარებზე ფრთხილი კაკუნიც გაისმა. კარგად შეღამებული იყო, და ზღურბლთან მდგომის პირისახე ვერ გაარჩია, ვერც ვიშკარეთან დაყენებული „მოსკვიჩის“ ნომრები დაიხსომა. საღამური მოკლე და კონკრეტული გამოდგა, უცხო ივანეს სთავაზობდა ოცდაშვიდ ლიტრ ეთილის სპირტს, რომლის საერთო ღირებულება 827 მანეთსა და 39 კაპიკს შეადგენდა. ივანემ ქვას თავი შეუშვირა, ამდენი სადა მაქვსო, მაგრამ ფალსიფიცირებული ჩრეშიანი არყის ერთ ადგილი ორი ბილეთის იყიდეს შემთხვევები. ზოგიერ ბილეთების გარკვეულ რაოდენობას არ იყიდიან და ავტობუსი უბილეთო მგზავრები მოიკალთებენ ბოლომ. [illegible] ბილეთებზე [illegible] მგზავრებს. ბილეთები წინასწარ [illegible] ბილეთის წინასწარ შესაძენად, იქ უნდა დაადგეს და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მიაღწიო საწადელს. არის სხვა არასასურველი ფაქტებიც, მაგრამ მათ უფრო დაწვრილებით ალბათ სათანადო სამსახური შეისწავლის, დამნაშავეებს საკადრისად მიუზღავენ და ბოლოს და ბოლოს ავტოვაგზლის მუშაობაში წესრიგს დაამყარებენ.

ბ. დევიძე.

ბოლოს

ფლეულს სამ სექტემბერს ცაგერში დაკრძალვაზე მივდიოდით. ქუთაისის ავტობუსების სადგურის მოლარეს ბილეთები ვთხოვეთ. მან გვიპასუხა, ცხრა საათზე ცაგერის გავლით გადის ლენტეხის ავტობუსი, თუ ბოლო გაჩერებამდე შეიძენთ ბილეთებს, მოგართმევთო.

რა გაეწყობოდა, დავთანხმდით, ამა ჩვენი გულისთვის დაკრძალვას ხომ არ გადადებდნენ. ბილეთის ღირებულება ლენტეხამდე გადავიხადეთ და ცაგერამდე ვიმგზავრეთ (ცაგერიდან ლენტეხამდე 22 კილომეტრია). ძვირფასო რედაქციავ, სამართლიანია ქუთაისის ავტობუსების სადგურის მოლარის მოქმედება? სამწუხაროდ, არც გვარი ვიცით მისი და არც სახელი.

ისე, ურიგო არ იქნება, თუ ავტობუსების სადგურებში (საერთოდ), თვალსაჩინო ადგილზე იქნება მოთავსებული მოლარისა და ყველა ამ მუშაკის გვარი, ვინც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის პასუხისმგებელია. მაშინ მგზავრს სამკითხაოდ აღარ იქნება საქმე.

ჩვენი წერილი რომ სამართლია, ამის დასადასტურებლად წერილთან ერთად გიგზავნით ავტობუსის ბილეთებს, რომლებიც სურვილის საწინააღმდეგოდ შეგვაძენინა „ძალად მაცხონე“ მოლარემ.

დ. ახვლედიანი.

კონტროლზეა მკითხველთა წერილები

თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთის მცხოვრებები დ. აბუანდაძე და ზ. აბულაძე რედაქციას ატყობინებდნენ, რომ აბულაძეებისა და აბუანდაძეების უბანში დაზიანებულია სასოფლო გზა, არ მუშაობს ავტობუსი, არა აქვთ სავაჭრო ობიექტი და არ არის გაყვანილი სატელეფონო ხაზი.

თერჯოლის რაისაბჭოს აღმასკომიდან გვაცნობეს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

აღნიშნული უბანი, სადაც 75 კომლი ცხოვრობს, სოფლის ცენტრს დაშორებულია 8 კილომეტრით. აქ მუშაობდა ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების სამგზავრო ავტობუსი, რომლის მოძრაობა შეწყდა გზის დაზიანების გამო. ამჟამად ზედა სიმონეთის კოლმეურნეობის გამგეობა აწარმოებს გზის დაზიანებული ჯგალების შეკეთებას, რომელიც მალე დამთავრდება. ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების წინაშე დასმულია საკითხი, რომ გზის შეკეთების დამთავრებისთანავე აღადგინოს ამ უბანში სამგზავრო ავტობუსის მუშაობა.

რაიკოომერატივის გამგეობას დაევალა განიხილოს ამ უბანში სავაჭრო ობიექტის გახსნის შეძლებლობის საკითხი, მანამდე კი უბნის მოსახლეობას მომსახურება გაუწიონ მოძრავი სავაჭრო ავტოფურგონის მეშვეობით.

სოფელ ზედა სიმონეთის კოლმეურნეობის გამგეობას დაევალა, რომ 1987 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმაში გათვალისწინოს აბუანდაძეებისა და აბულაძეების უბანში სატელეფონო ხაზის გაყვანა.

რაისაბჭოს აღმასკომმა კონტროლი დააწესა აღნიშნული საკითხების მოგვარებისადმი.

▼▼

თბილისის თემქის დასახლების მე-4 მიკრორაიონის №7 კორპუსის მე-7 სადარბაზოში მცხოვრებნი დ. კალაშიანი, ლ. ხარაბუროვი და სხვები კოლექტიურ განცხადებაში აღნიშნავდნენ, რომ მათი სადარბაზოს სარდაფში დაზიანებულია ცივი და ცხელი წყლის მილგაყვანილობა, რის გამოც სარდაფი იტბორება წყლით, ზიანდება საცხოვრებელი კორპუსის საძირკველი და ითხოვენ დახმარებას.

თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომმა გვიპასუხა: აღნიშნული კორპუსის სარდაფში სანტექნიკური კვანძები შეკეთდა, მილებიდან წყალი აღარ ეონავს. სახლის საძირკვლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

▼▼

ქალაქ მახარაძის ჩანჩიბაძის ქ. № 15-ა სახლში მცხოვრებმა მოქალაქემ ც. მუჯირმა შეიძინა ავეჯი, მაგრამ იგი უხარისხოდ დამზადებული გამოდგა.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგშორისი გაერთიანების უფროსმა ზ. ქაჯაიამ გვაუწყა, რომ ქუთაისის ავეჯის კომბინატმა მიავლინა ოსტატი ავეჯის ხარისხის დასადგენად და შესაკეთებლად. წვრილმანი ხარვეზები უკვე აღმოფხვრილია, ხოლო ტრანსპორტირების დროს დაზიანებული დივნის საზედაპირე ქსოვილი თვით ც. მუჯირის სურვილისამებრ შეიცვლება მის ბინაში რემონტის დამთავრების შემდეგ.

▼▼

მახარაძის რაიონის სოფელ წითელმთიდან გამოგზავნილ განცხადებაში მოქალაქე შ. ვანიძე უკმაყოფილებას გამოთქვამდა მახარაძის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგის მუშაკებისადმი იმის გამო, რომ ტელევიზორი დროულად არ შეუკეთეს.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოდან მოგვწერეს: მოქალაქე შ. ვანიძეს ტელევიზორი შეუკეთეს და მას შემკეთებლების მიმართ არავითარი პრეტენზია აღარ აქვს.

მინაწერი:

დღეს გავაცანით ოთხ სავალალო ფაქტზე მიღებული ოთხი სავალალო პასუხი. რატომ სავალალო პასუხი? ხომ განვახორციელეთ ღონისძიებები წერილებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლადო, იტყვიან, ალბათ, ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. როგორც პასუხი მეტყველებს, ზომები მართლაც მიუღიათ, მაგრამ როდის! როცა განაწყენებულმა მოქალაქეებმა ადგილობრივ შესახებამის ორგანიზაციებთან ერთად ვერაფერი გააწყვეს და იძულებული შეიქნენ „კომუნისტისათვის“ მიემართათ. განა სასოფლო გზის შესაკეთებლად და მასზე ავტობუსის მუშაობის აღსადგენად, ან უხარისხო ავეჯის, ტელევიზორის, დაზიანებული მილების შესაკეთებლად აუცილებელი იყო ზემდგომი ორგანოების ჩარევა? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოქალაქეების პირველსავე მიმართვაზე შესახებამისი სამსახურები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, მაგრამ, როგორც იტყვიან, აუტანელი თავი აიტკივეს და მათ მაინც უჩივლეს.

როგორც ჩანს, განმცხადებლებს ბევრჯერ უსაყვედურა სხვადასხვა მოხელემ, სწორ და კანონიერ მოთხოვნებს, რომ უკენებდნენ. მაგრამ პასუხიდან ძნელია გაარკვიო, უსაყვედურა თუ არა ვინმემ იმათ, ვინც უყურადღებოდ დატოვა მშრომელთა საჩივრები, ვინც უხარისხო პროდუქცია გამოუშვა, ან არ შეაკეთა გზა, მილები, ტელევიზორი... ეს პასუხი უფრო „აბეზარი“ მომჩივნის თავდად მოცილებისა და დაშოშმინებისათვის არის შედგენილი, ვიდრე იმისათვის, რომ დაგანახვონ, თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს, როგორ ებრძვიან წუნისმკეთებელ დაუდევარ და უგულისყურო მუშაკებს.

საინტერესოა, რატომ არ უფრთხილდება საკუთარ ავტორიტეტს და ორგანიზაციის ღირსებას, როდესაც ხელმძღვანელი პრესაში გამოსაქვეყნებლად გზავნის ასეთ უღიმღამო პასუხს?

სიყვარული სიყვარულის წილ

„როგელ ქვეყანას უნდა ვუმადლოდეთ ცეცხლისა და მარმარილოს ესოდენ მომხიბვლელ შეხამებას?“ — ეკითხება შაპის კარზე მყოფ გიორგი სააკაძეს პიეტრო დელა-ვალე. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, „დიდი მოურავის“ ავტორი ანა ანტონოვსკაია ხედავდა ქართველი ხალხის დიდ შვილში „ცეცხლისა და მარმარილოს ესოდენ მომხიბვლელ შეხამებას“.

სადავო არ უნდა იყოს, რომ მხოლოდ მაღალი სულის ადამიანს შეუძლია დაინახოს სხვა ერის განუმეორებელი ღირსებანი.

ანა ანტონოვსკაია დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში. იგი ნიჭიერი მწერალი გახლდთ, დიდი კოსმოლოგიური ბეჭდვა ჰყავდა ქართველი მწერლების, მეცნიერების და, რაც მთავარია, კონკრეტულად ივანე ჯავახიშვილის სახით. მაგრამ არც საქართველოში დიდხანს ცხოვრება, არც ხალდი ნიჭი, არც საუკეთესო მრჩეველთა მითითებანი არ ეშველა იმის მისაღწევად, რაც ანა ანტონოვსკაიამ შეიძლო.

რა ზღვრამდე უნდა დაეძაბა გულისყური, ნიჭი, ცოდნა, ფსიქიკა, რომ ღრმად შეჭრილიყო ქართველი ხალხის სულიერ წიაღში, რამდენი ფენა უნდა დაედნო მის მხურვალე სულისკვეთებას, ფენა, რომელიც ასე მკვეთრად მიჯავს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ეროვნებებს, რომ სრულად ეგრძნო ქართული არტერიის ფეთქვა, ქართველი კაცის ბუნების მადლი, მისი უმთავრესი თვისებანი და ეერძნო ეს თვისებანი არა მხოლოდ არსებით მოვლენებში, თვით უმცირეს ნიუანსსა და დეტალშიც.

ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას ჩვენ გვაძლევს მისი ექვსწიგნანი რომანი „დიდი მოურავი“. არა მარტო უფლებას გვაძლევს, გვავალდებულებს კიდეც. ჩვენ ვალდებულნი ვართ რომანის ფორცლებიდან შემოგებებული ეს საიდუმლო ამოვხსნათ.

ძნელია ექვსი დიდტანიანი წიგნისაგან შემდგარი რომანის წაკითხვა მეოცე საუკუნეში. სხვა რიტმია, სხვა განწყობილება, კიდევ უფრო ძნელია, ექვსივე წიგნი თანაბარი ძალისხმევით დაიწეროს. დიახაც, განსხვავდება პირველი, მეორე და მეოთხე წიგნები მხატვრული სრულყოფით მესამე, მეხუთე და მეექვსე წიგნებისაგან. მაგრამ ვინ, კი მოთმენებითა და საფუძვლიანად გაიცნო ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“, არ შეიძლება არ დაენახა ის ღირსებანი რომანისა, რომლებზეც მინდა მკითხველს ყურადღება გავამახვილო.

ანა ანტონოვსკაიას არ შეულამაზებია ისტორიული სინამდვილი, სხვა არის მისი დამსახურება. მან შეძლო სრულიად შეეგნო და დაენახა ის დიდი პოლიტიკური და სოციალური ვნებები, მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოში რომ ტრიალებდა, დაენახა ისიც, რომ ეს ვნებები უჩვეულო მასშტაბისა იყო. ბუნებრივია, ქართველ ხალხს სულაც არ სურდა ამ გზით გამოეხატა თავისი თავი, მაგრამ მის არსებობას დაემუქრა იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს ირანის ტოტალური გეგმა. შაჰ-აბას პირველის მიზანი იყო აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთის აყრა-გადასახლება, მათ ადგილას კი მაჰმადიანთა დამკვიდრება. ეს ვერაგული გეგმა იყო უჩვეულო რეზონანსისა და უბედურება, მისი განხორციელების გზაზე რომ დატრიალდა, მართლაც მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. არაერთი უცხოელი მისიონერი, მოგზაური თუ ისტორიკოსი აღწერს ტრაგედიას, რომელიც თავს დაატყდა კაზეთს. ირანის სისხლიანი პოლიტიკა უმკაცრეს გამოცდად იქცა, ყოფნა-არყოფნის ხანა ეწოდა საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთს. მოსალოდნელი იყო კატასტროფის შეგრძნებას დაებეჩავებინა, სულიერად გაეტეხა ერი და აღეგაა პირისაგან მიწისა, როგორც არაერთ ქვეყანას დამართია.

შაჰ-აბას პირველის ტოტალურ პოლიტიკასთან დაპირისპირებულ მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველოში ანა ანტონოვსკაიამ წაიკითხა სწორედ მსოფლიო მასშტაბის ისტორიული და პოლიტიკური ვნებები. მოვლენებზე დაკვირვებამ მას აღმოაჩენინა ქართველი ხალხის მაღალი სული და ამოუწურავი ეროვნული ენერგია.

განა ანა ანტონოვსკაიამ არ იცოდა, რომ იმდროინდელ საქართველოში ბობოქრობდა შური, ღალატი, მტრობა, გაუტანლობა, გათიშულობა. უამრავი ფაქტი დაბავდა მძიმე გამოცდის ყამს, რაც სწორედ შურსა, ღალატსა, მტრობას, გაუტეხლობასა და გათიშულობაზე მეტყველებდა. მან თითქმის ყველა დეტალი იცის, არც მალავს არაფერს, მაგრამ ფართო ხედვით ეგრეცდა, რომ ეროვნული ხასიათის მთლიანობა დადებითი და უარყოფითი ნიშნებით არის განსაზღვრული, მთავარია, რა მართავს ამ მთლიანობას — ღირსებებს მიჰყავს სიმაღლისაკენ ქვეყანა, თუ მანკიერებანი ეზიდება ხალხს უფსკრულში.

მართალია ძნელია, მაგრამ სხვა ერის ღირსებასა და ნაკლს საე უნდა შეხედო ან საერთოდ არ გაიღო ხმა. ანა ანტონოვსკაიას პოზიცია სანიმუშოა ამ თვალსაზრისით. არ არის გასაკვირი, რომ ქართველ ხალხში საგრძნობია მოთხოვნილება სიყვარულით უპასუხოს ამაღლებულ გრძნობებზე რუს მწერალს. „დიდ მოურავს“ ფართო აუდიტორია ჰყავს საქართველოში, რომანის დიდმა მოცულობამაც ვერ გაანელა ინტერესი.

ამასთან „დიდი მოურავი“ განსაკუთრებული ინტერესით იკითხება მთელ საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც. იგი განსაკუთრებული ინტერესის საგნად აქცია მწერლის სულისკვეთებამ, ობიექტურმა ხედვამ და ღრმა ცოდნამ.

დღეს მხოლოდ ზედაპირულ განცხადებად თუ აღიქმება შეფასება: „გიორგი სააკაძე ტრაგიკული პიროვნებაა“, უმთავრესი სხვა არის, კერძოდ ის, რაც გიორგი სააკაძეს ტრაგიკულ პიროვნებად აქცევს. XVII საუკუნის საქართველოს არსებობის შინაარსი, მის წინაშე წამოჭრილ პრობლემათა სირთულე, დაკუმცმაცებული ქვეყნის ფსიქიკა, დაღუპვის ყამის განცდა, მეფთა არამყარი პოზიცია, დიდგვაროვანთა ინსტიტუტის ზნეობრივი დაკნინება, სხვადასხვა სოციალური ფენის ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები, ქვეყნის დარღვეული შინაგანი წონასწორობა... ერის გადარჩენის მისია ისტორიულმა კანონზომიერებამ არა მეფეს, არა დიდგვაროვანს, არამედ გუშინდელ აზნაურს დააკისრა, მხოლოდღა პირადი ღირსებებით აღზევებულ პიროვნებას. კანონზომიერება იმით გამოიხატა, რომ ეს პიროვნება დაჯილდოებული იყო უნიკალური გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობებით, ამიტომაც ეწოდა მას „საქართველოს ენერგიის უდიდესი გამოცხადება“. მასში თავი მოიყარა ქართველი ხალხის ყველა არსებითმა ნიშანმა. ამიტომ სააკაძის ტრაგიკული ბედი ქართველი ხალხის ტრაგიკულ ბუნებას გამოხატავს.

ანა ანტონოვსკაიამ გიორგი სააკაძეში წაიკითხა მისივე მშობლიური ხალხის გმირული სული. მან შეძლო დაენახა მარტყოფის აჯყების განუმეორებელი დანიშნულება. უნაკლო ორგანიზაციითა და ვირტუოზული შესრულებით იგი მსოფლიო მასშტაბის ბრძოლად აღიქმება. ასევე აღიქვეს იგი იმდროინდელმა აღმოსავლეთმა და დასავლეთმა. თურქი ისტორიკოსი იბრაგიმ ფეჩეკი საგანგებოდ აღნიშნავდა, „ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ამოდენა ზარალი არ უნახავსო“. მარტყოფის აჯყების მნიშვნელობას საქართველოს და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში შედეგი განსაზღვრავს: ამ აჯანყებამ ხელი აიღებინა შაჰ-აბასს აღმოსავლეთ საქართველოს აყრა-გადასახლებაზე.

საინტერესოა ყველაფერი ის, რაც ამზადებდა ამ დიდ მოვლენას — ის ურთიერთობანი, ის პოლიტიკური დაჯგუფებანი, დაპირისპირებანი, მწვავე წინააღმდეგობანი, ზშირი კონფლიქტი, გამოუვალი სიტუაციები, დაძაბული დიპლომატიური და პოლიტიკური სვლები, — ყველაფერი ეს ისტორიული სინამდვილე გახლდათ და ყველაფერი ამავე დროის საქართველოსთან იყო დაკავშირებული. გარკვეული დროის განმავლობაში ირანი აქტიურობდა, იგი არეგულირებდა სვლებს, თავის მოთხოვნებს უკარნახებდა, მაგრამ როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, ქართველ ხალხში გაცოცხლდა „ჯირსა შიგან გამაგრების“ უნარი და მარტყოფის აჯანყების სამზადისი, მარტყოფის აჯანყებით, მარაბდის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლითა და ქსნის სახელოვანი გმირჯვებით, პარტიზანული ოპერაციებით უკვე საქართველო უკარნახებდა თავის პირობებს შაჰ-აბას პირველის ირანს. „დიდი ამბები“, რომლებიც ირანის თითქმის ყველა პროვინციაში დატრიალდა აჯანყების სახით და რომლებზეც ისკანდერ მუნში ასე შეშფოთებული მიუთითებს, სწორედ მარტყოფის აჯანყებით იყო გამოწვეული.

ყოველივე ეს თვიანთი სისრულით აქვს გამოხატული ანა ანტონოვსკაიას, შთამბეჭდავია მრავალი სახე. პირველ ყოვლისა, გიორგი სააკაძის პიროვნება ჰყავს გაცოცხლებული, მასშია გაცხადებული დიდი პოლიტიკური ვნებები, ქართველი ხალხის მთლიანი და გაუტეხელი სულისკვეთება, მაგრამ გავიხსენოთ სხვა ხასიათები: ლუარსაბ II, თეიმურაზ I, შაჰ-აბას I, შადიმან ბარათაშვილი, ზურაბ ერისთავი, გიორგი თავაკაძის თანამებრძოლი „ციფხვები“ — პაპუნა, დიმიტრი, „ეთერგა“, პაატა, დიდი მოურავის მეულლე. ყოველივე ამასთან ანა ანტონოვსკაიას გასაკუთრებულ დამსახურებაზე, ნიშსა და უნარზე მეტყველებს ქართველი თავად-აზნაურების ფსიქიკის ცოდნა. შესანიშნავად იცის მან ქართველი კაცის ხასიათი. დიდგვაროვანის, რიგითი თავადის, აზნაურის, გლეხის სული, მათი ფიქრების მოძრაობა, ფარულ ზრახვათა სიღრმისეული დინებები. დავაკვირდეთ გიორგი სააკაძის, ზურაბ ერისთავის, შადიმან ბარათაშვილის, საერთოდ ნებისმიერი პერსონაჟის აზროვნებას და შემოქმედის ქეშმარიტებას ადვილად ირწმუნებთ.

ანა ანტონოვსკაიამ შეიძლო ქართველი ხალხის სულიერ სამყაროში შეღწევა, მისი ბუნების წაკითხვა. ყოველივე ამან დაბადა ის უსაზღვრო სიყვარული სხვა ქვეყნისადმი, რაც ასე საგრძნობია მის ვრცელ რომანში. იგი მოხიბლულია ქართველი ხალხის თვისებებით, მაღალი სულით, გაუბზარავი მთლიანობით. ამ სიყვარულმა შვა ნათელი სულისკვეთება, გამოამეცნიერა მწერლის დიდი გული და ფართო ხედვა. მთელი ცხოვრება შესწირა ფაქტობრივად ქართველი ხალხის ისტორიის ასახვას. მის წარმოდგენაში საქართველო სრული შეცნობის შემდეგ „ცეცხლისა და მარმარილოს მომხიბვლელ შეხამებად“ დაკრისტალდა. ეს უკვე ყველაფერზე ამომწურავად მეტყველებს. ამიტომაც ქართველი ხალხისათვის ანა ანტონოვსკაიას სახელი მარად ძვირფასი იქნება.

ჯანსუღ ღვინჯილია.



დედაქალაქის დაჩქარებული რიტმი თითქოს ანელებს ტემპს ძველი არბატის ზღურბლზე. აქ ცხოვრება ფეხდაფეხ მიჰყვება მოსცირნე გამვლელებს, რომელთა სრულ განკარგულებაშია გადაცემული მოსკოვის ეს ერთადერთი ქვეითად სასეირნო ქუჩა. მოდით, ჩვენც შევეერდეთ — მიმოვიხედოთ, დავაკვირდეთ ქალაქელებსა და სტუმრებს.

აქ, არბატზე, შენდება სახლი „საქართველოს ნობათი“. იგი აღადგენს გრაფ გ. ორლოვის კუთვნილ XVIII საუკუნის სახლის გარეგნულ იერს. ოსტატებმა მიხეილ თუშიშვილმა და ამირან ქემხაძემ არქეოლოგთა გულმოდგინეობითა და და სიფრთხილით შეაგროვეს, დაიწერეს და აღადგინეს ფოტოსურათების მიხედვით ნაძერწი სამკაულები, რომლებიც მოხდენილ იერს ანიჭებდნენ იმპერატორო ეკატერინე მეორის დაახლოებული პირის სახლს.

ძველებური ძერწულობის ნიმუშები და თაბაშირის პირები მიჩვენა „საქკვებრემშენის“ ტრესტის მთავარმა ინჟინერმა რამაზ გოგიაშვილმა. ჯერჯერობით ისინი დალაგებულია ორსართულიანი ფლიგელის ოთახებში დივნებსა და სავარძლებზე, სადაც ქართველ მშენებელთა მოსკოვის შტაბია მოთავსებული.

— არბატზე მუშაობა ოთხი თვის წინათ დავიწყეთ... ექსკურსიით, — ხაზგასმით აღნიშნა რ. გოგიაშვილმა. — მოვიწვიეთ გამოცდილი გიდი, რომ ღრმად ჩაეწვდომოდით ისტორიას, გავსძველულიყავით ძველი არბატის ცხოვრების სულისკვეთებით. ეს საპირო იყო ჩვენთვისაც, მშენებლებისათვის, თუმცა, ჩვენ არქიტექტორთა და მხატვართა ჩანაფიქრის მხოლოდ აღმსრულებლები ვართ.

პროექტის ავტორია შოთა ყაველაშვილი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი. თბილისის მთავარმა არქიტექტორმა აქაც გამოიჩინა „სიძველის დამცველის“ უტყუარი ალღო: სახლის მისეულ კონეეფციაში შეხამებულია ფორმისადმი სათუთი დამოკიდებულება და გამომგონებლობა მისი ახალი შინაარსის გადმოცემაში. მხოლოდ გაკვირვებას იწვევს ის, რომ ნაგებობის მასშტაბი არ შეუცვლიათ, მაგრამ სახლის ფართობი ოთხი ათას კვადრატულ მეტრამდე გაზარდეს და გახალაგეს აქ ბევრი რამ, რაც წარმოადგენს ქართული მიწის ნობათსა და მისი მშრომელების ნიჭს.

აი, პლანშეტებზე აღნიშნულია: სადეგუსტაციო დარბაზი, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ ჩაი, წვენები და, რა თქმა უნდა, ლაღიძის წყლები. შემდეგ შეხედერებისა და მოლაპარაკების სალონია — დედაქალაქელ და ქართველ სპეციალისტებს შორის ვინ იცის რამდენი ახალი კონტაქტი გაიგალვოს აქ გზას? ხალხური რეწვის საგამოფენო დარბაზი — მობრძანდით, აირჩიეთ სვანი, თუში, ხევსური ხელმარჯვე ოსტატების ყოველნაირი ქმნილება — იგი უთუოდ სიმყუდროვეს მიანიჭებს და უჩვეულო კოლორიტს შეიტანს თქვენ სახლის მორთულობაში. ხოლო კამერული საკონცერტო დარბაზი მოსკოველებს ჰპირდება ქართული ხალხური მელოდიების საოცარ პოლიფონიასთან შეხვედრას.

ჯერჯერობით კი რუსული და ქართული ლაპარაკი გაისმის სამშენებლო მოედანზე. მუშაობა აქ მიმდინარეობს ორ ცვლად და შაბათობითაც კი.

— მოსკოველ კოლეგებთან ერთად პროექტი „ფადდვიყვანეთ“ დედაქალაქის ინდუსტრიის რელსებზე, — გვითხრა რ. გოგიაშვილმა. — აგურის წყობის ნაწილი შეგცვალეთ ასწყობა რკინაბეტონის კონსტრუქციებით. მით უმეტეს, რომ საინსმომედგომაოსათვის მოთხოვნები აქ თბილისურზე უფრო ნაკლებია. ამან შესაძლებელი გახადა დაგვეჩქარებინა მშენებლობა. მაგრამ ჩვენი თანამშრომლობა ყველაზე შეტად ნაყოფიერი გახადა „მთავარმოსკოვშენის“ გაერთიანების უფროსის მოადგილის ილია ქევნიშვილის მხარდაჭერამ. 18 წლის წინათ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი სამუშაოდ დარჩა დედაქალაქში და ახლა ჩვენს ობიექტს გორკეცებული ერთგულებით — მოსკოველისა და თბილისელის ერთგულებით უწევს მეურვეობას.

სახლის შინაგანი იერსახე და მისი მორთულობა რომ წარმოგვედგინა, შორს წასვლა არ დაგვჭირდებია. არბატიდან ტვერის ბულვარამდე რამდენიმე წუთში მივედით სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, ლენინური პრემიის ლაურეატის ზურაბ წერეთლის სახელოსნოში.

— შინაგანი გაფორმების ჩვენეული გადაწყვეტა ექვემდებარება მთავარ მიზანს — შეგინარჩუნოთ „ადგილის სულისკვეთება“, — თქვა ზ. წერეთელმა. — ვამჯობინეთ განმაზოგადებელი პლასტიკა. მაგალითად, უარი ვთქვით ჭედურ სამკაულებზე, მთავარი ყურადღება გადავიტანეთ მინაჭრისა და ბრინჯაოს დეტალებზე. შეხვედრათა სალონი ჩაფიქრებული გვაქვს სადა სტილით, მას დაამშვენებს ესკიზები შესრულებული ავეჯი. სადეგუსტაციო დარბაზში, პირიქით, თავი არ ავარიდეთ სიმბოლიკას: ჭერის რბილმა ხაზებმა, ფერთა გადასვლამ, ინტერიერის ნაზმა ტონებმა, ფიერებზე ჩაწერილ ფრინველთა გალობა-ჭიკჭიკთან შეხამებით მომსვლელებს უნდა გაუღვიძოს ბუნებასთან, იმ მიწასთან სიახლოვის გრძნობა, რომელიც გვაძლევს პურსაც, ყურძენსაც, წყალსაც.

მთავარი ნობათი, რომელიც აქ დაიდებს ბინას, — ეს არის ცოცხალი ურთიერთობის, კეთილმოსურნეობისა და კეთილმეზობლობის ნობათი. ამ უჩვეულო სახლის ასეთ დანიშნულებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ პირველ სტუმრად იგი მიიღებს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულის დღეებში, რომელშაც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ერთიან ოჯახად დააკავშირა.

ი. სუდაკოვა,
საქინფორმის სპეც. კორ.

• • •

სურათებზე: მშენებლობა არბატზე; „საქკვებრემშენის“ პირველი სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი თ. მგალობლიშვილი და მეშვიდე „მოსკოვსაძირკვლემშენის“ ტრესტის 309-ე სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი ნ. კუსკოვი ოპერატიულად წყვეტენ მშენებლობის საკითხებს.

ვ. კოშევოის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„საქართველოს ნობათი“ — არბატზე

ანა ანტონოვსკაიას დაბადების 100 წლისთავის გამო

„შემოდგომის ფერები“

ფესტივალი — „პოეტური სიტყვის დღესასწაულად ეწოდა საღამოს „ფერები“ — „შემოდგომის ფერები“. „ფერების“ მუშაობა სახლში გაიმართა. ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის წარმატება თანაბრად გაინაწილეს თბილისის ა. მიზანდარის სახელობის პირველი სამუსიკო სკოლის — საქართველოს ფრაფესიული მუსიკალური განათლების პირველი კერის — მოსწავლეებმა და მათმა დამრიგებლებმა.

ანგელინა ნამგალაძის, თინა ბარკალაიას, ელა ბახტაძის, ნადია კომახიძისა და სხვათა შესრულებით აღიერდა ნაწყვეტები მელიტონ ბალანჩივაძის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ვიქტორ დოლიძის, რევაზ ლაღიძის მუსიკალური ნაწარმოებებიდან, აგრეთვე იოსებ გრიშაშვილისა და იოსებ ნონაშვილის უკვდავი სტრიქონები.

„შემოდგომის ფერები“ არის ეროვნული მუსიკის, ბავშვებს, ქვეყნად სიცოცხლისადმი მიძღვნილი ჰიმნი.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

სატურნირო ორბიტა

თავისუფალი ჭიდაობა. ვორონეჟში დამთავრებულ დინამოელ ჭაბუკთა (1970-71 წლებში დაბადებულთა შორის) საკავშირო პირველობაზე გუნდური გამარჯვება მოიპოვა რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა. მეორე ადგილი დიკავეს უკრაინელებმა, მესამე — საქართველოს კოლექტივმა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა აქტივშია 4 ჯილდო. ოქროს მედლებს დაეუფლნენ გიორგი პატაშური (75 კგ) და მამუკა ღვინიაშვილი (81 კგ). მეორე ადგილები წილად ხვდათ ბაღრი სამხარაძეს (65 კგ) და მალხაზ გალდავას (87 კგ).

ᲑᲝᲥᲡᲘ. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში მიმდინარე იუნიორთა ევროპის ჩემპიონატზე სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (3) ლიდერობს საბჭოთა მოჭადრაკე ვ. ივანჩუკი.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ მეორე ქალაქში — — ჰილვერსიუმში კი დამთავრდა ა. იუსუპოვისა და ი. ტომანის საწვრთნელი მატჩი, რომლის საბოლოო ანგარიშია 3:3. მოჭადრაკეებმა ექვსივე პარტია ყაიმით დაასრულეს.

ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲪ დ, ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲨᲘ დამთავრდება ორწრიანი შეჯიბრება 6 დიდოსტატს შორის, მაგრამ გამარჯვებული უკვე გამოვლინდა: მსოფლიო ჩემპიონმა გ. კასპაროვმა მეცხრე ტურში 33-ე სვლაზე რეკვიში აიღო ინგლისელ ნ. შორტთან პირველ წრეში წაგებისათვის, დააგროვა 7 ქულა და გამარჯვებულის წოდება მოიპოვა. 4,5-4,5 ქულა აქვთ რ. პიუბნერს, ვ. კორჩნოის და ჯ. ნანს, 4 — შორტს, 2,5 ქულა — ლ. პორტიშს.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ტაჯიკეთის მთიანეთში გამართული მრავალდღიანი ველორბოლა მოიგო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ვ. ეკიმოვმა.

ᲨᲐᲠᲘᲐᲞᲝᲕᲐ. რიგაში დასრულდა საკავშირო თასის „გათამაშება. რაპირისტ ქალთა შორის პირველობა მოიპოვა მოსკოველმა ე. გრიშინამ. დაშნით მოფარიკაკეებში უძლიერესი იყო ესტონეთის წარმომადგენელი ხ. ზაკიეკი.

ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ. ევროპის ჩემპიონატის მეხუთე შესარჩევ ჯგუფში მორიგი კალენდარული მატჩი მოეწყო კვიპროსისა და ჰოლანდიის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 2:0. ახლა ამ ჯგუფში ლიდერობენ ჰოლანდიელები — 5 ქულა (6 შესაძლებლიდან). მომდევნო ადგილებზე არიან ბერძნები — 4 (6-დან), პოლონელები — 3 (4-დან), უნგრელებმა და კვიპროსელებმა 2-2 მატჩი გამართეს და ითვლ ქულაც არ მოუპოვებიათ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲣᲠᲗᲘ. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური. გთავაზობთ შედეგებს: მოსკოვის „დინამო“-მინსკის რტი — 98:86, თბილისის „დინამო“-კიევის „სტროიტელი“ — 84:72.

მორიგი მეცადინეობა



ᲰᲐᲓᲠᲐᲯᲘᲡ რესპუბლიკურ სასახლეში 27 დეკემბერს, 16 საათზე დაიწყება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ბ. ლორთქიფანიძე (თემა: ქართული კულტურის ისტორიიდან); მსოფლიოს ექსჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, საერთაშორისო დიდოსტატები ნ. ალექსანდრია და ე. ახმილოვსკაია (თემა: მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ფორუმი დუბაიში; საჭადრაკო ოლიმპიადის და ფიდეს კონგრესის შედეგები);

28 დეკემბერს სემინარულ მეცადინეობებს ჩაატარებენ: ოსტატი ი. ჯანოევი — დახელოვნების ფაკულტეტზე; ოსტატი თ. კიკიანი, დოცენტი შ. თხელიძე და რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შ. ინწკირველი — ინსტრუქტორ-მწვრთნელთა ფაკულტეტზე; რესაუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ო. ალხანიშვილი და საერთაშორისო არბიტრი ე. მელიქსეთ-ბეგი — ინსტრუქტორ-ორგანიზატორთა ფაკულტეტზე. სემინარულ მეცადინეობათა დასაწყისი 11 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

„კომუნისტი“
საკლესი საქინფორმი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

▼▼

აჭარის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სპეციალისტთა მიერ შემუშავებული სიახლე უთუოდ მოეწონებათ იმათ, ვინც დიდი ხნით სახლიდან დაშორებით შრომობს. ადვილად გადასატანი პაკეტიონი „ფინური აბანო“ იოლად შეიძლება წავიღოთ მგზავრებთა ბრიგადაში, მწყემსებთან, შორეულ საძოვრებზე. 24 კვადრატული მეტრი ფართობის პატარა სახლში მოთავსდა გასახდელი, საშხაპე, საორთქლე, აუზი, დასასვენებელი ოთახი. სახურავზე დადგმული ჭურჭელი, რომელიც ელექტროენით ხურდება, ცხელი წყლით უზრუნველყოფს კაბინებს. პაკეტიონი ერთდროულად ოთხ კაცს მოემსახურება.

▼▼

ცხინვალის მახლობელ სოფელ ხეთაგუროვისა და სხვა დასახლებული პუნქტების მცხოვრებთ ამიერიდან აღარ დასჭირდებათ ხელმარჯვე შემდულებლების ძებნა. აგროიერმა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლმა მათ შესთავაზა ვიშერების და ლიონის სხვა ნაწარმის დამზადება, სადაც საჭიროა შესაფული საშუშაოები.

▼▼

ონამჰირეში ზღვის ნაპირას აღმართა ლამაზი ორსართულიანი კოშკი, რომელსაც „ია“ უწოდეს. ეს ონამჰირის № 1 ჩაის ფაბრიკის ახალი საბავშვო ბაღია, რომელიც საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამისად აშენდა. ეზოში, სპორტული მოედნის გვერდით მოწყობილია მინიატიურული ზოოპარკი. ბავშვები უკვე დაუმეგობრდნენ მის ბინადართ — შვლებსა და ფრინველებს.

„კომუნისტი“
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ
380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-08, 99-08-09, Კ/ᲛᲓᲒᲝᲕᲜᲘ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲒᲝᲕᲜᲝᲡᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲘᲠᲘ ᲣᲚᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 99-95-20, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ — 99-20-34, ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ — 99-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ — 99-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘᲡ — 99-22-93, ᲐᲦᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲭᲔᲚᲗᲐ ᲕᲐᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲩᲘᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲜᲝᲢᲛᲔᲡᲘᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲘᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲭᲘᲘᲣᲚᲘ — 25-82.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

◆ **„ᲛᲔᲠᲐᲜᲛᲐ“** გამოსცა კრიტიკოს გიორგი გაჩეჩილაძის წიგნი „სულიერი გამოცდილების სამყაროში“, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ლიტერატურული ნარკვევები და ესსეები. როგორც ალინიშნულია წიგნის ანოტაციაში, ავტორი ყურადღებას ამახვილებს სულიერი გამოცდილების იმ უწყვეტ პროცესზე, რომელიც თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში იდეური მემკვიდრეობის სახით ვლინდება.

წიგნის რედაქტორია ნ. ახალკაცი, მხატვარი ც. გაჩეჩილაძე.

◆ **„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗ